კიდევ დაუკარი, სემ

ვუდი ალენის

რომანტიკული კომედია სამ მოქმედებად

პირველი მოქმედება

სცენა პირველი

პარტერში შუქი ქრება და ფარდის მიღმა ჰამფრი ბოგარტის და მერი ასტორის ხმები გვესმის, „მალტის შევარდნის“ ერთ-ერთი სცენიდან. ეს ფილმის ის ბოლო სცენაა,

სადაც ბოგარტი ქალის ჩაბარებას აპირებს, მიუხედავად იმისა, რომ უყვარს. ქალი ამას ვერ იჯერებს. ამ დროს ფარდა იწევა და ვხედავთ ალან ფელიქსს, რომელიც ფილმს თავის მისაღებში, ტელევიზორში უყურებს. ალანი ნიუ იორკშია, თავის ბინაში, მეათე ქუჩაზე, მეხუთე და მეექვსე გამზირებს შორის. სასტუმრო ოთახი ერთ-ერთია სამი ოთახიდან. ბინას ასევე აქვს პატარა, მაგრამ არცთუ ურიგო საძინებელი და ასეთივე სამზარეულო - ორივე სცენის მიღმა, ერთმანეთის საპირისპირო მხარეს. სცენის ზედა ცენტრალურ ნაწილში ბინაში შემოსასვლელი კარია, რომელიც პირდაპირ მისაღებში გამოდის. თვითონ მისაღები სოფლის ძველი ბრაუნსტოუნისთვის ტიპიური, საკმაოდ მოზრდილი ოთახია - ნათელი, დიდი ფანჯრებით, რომლებიც მეორე სართულიდან ხეებში ჩაფლულ მრავალსართულიან სახლს გადაჰყურებს. ოთახს რიგიანი შეშის ბუხარი აქვს და ახალგაზრდული მყუდროება იგრძნობა - წიგნებითა და ვინილის ფირფიტებით, ჰამფრი ბოგარტის დიდი ფოტოთი, კომფორტული სკამებით და მყუდრო დივნით. ეს ისეთი ბინაა, რომელიც თვეში ასსამოცდახუთ დოლარად ქირავდება და უკვე ორი წელია ფელიქსების ახალგაზრდა წყვილს გაუწყვია ავეჯით და ცხოვრობენ. ალან ფელიქსი დაახლოებით ოცდარვა-ოცდაცხრა წლის, გამხდარი, სათვალიანი ახალგაზრდა კაცია - თითქოს პირდაპირ ჟულ ფაიფერის კარიკატურიდან გადმოსული. სტატიებისა და რევიუების წერით სამყოფ ფულს შოულობს. აქედან, ზოგი ლიტერატურული რევიუა, მაგრამ ძირითადად კინოზე წერს პატარა, ინტელექტუალური

კინოჟურნალისთვის, იმიტომ რომ კინოს ჭიაა. ოცნებობს, ერთ დღეს რამე მნიშვნელოვანი გააკეთოს ლიტერატურაში ან კინოში. საერთოდაც, ალანი ბევრს ოცნებობს - მისი გონება აბსურდულად ნევროტული წინააღმდეგობების ჰიპერაქტიური მასაა, რომლებიც ალანის გარშემო სამყაროს მეტისმეტად ართულებენ. ნერვიულია, მორცხვი, არაფერში არ არის დარწმუნებული და წლებია დროგამოშვებით ფსიქოთერაპევტთან დადის ხოლმე.

ფარდის აწევისას ალანი მარტოა. თავის მბრუნავ სკამზე ზის და „მალტის შევარდენს“ უყურებს პაწაწინა ტელევიზორში, რომელიც პუფზე დგას. ფილმი უკვე მთავრდება და ის სცენა გადის, სადაც ბოგარტი მერი ასტორს ეუბნება, რომ მის ჩაბარებას აპირებს. მათი რამდენიმე რეპლიკა ჯერ კიდევ ფარდის აწევამდე ისმის. ფარდის აწევის მერე ალანი ცოტა ხანი უყურებს ფილმს, ოხრავს და ოთახს გადაჭრის ტელევიზორის გამოსართავად.

ალანი: რანაირად შვრება ამას? რაშია საიდუმლო? თვითონ ფილმებია ერთი დიდი საიდუმლო. კიდევ ერთი-ორი ასპირინი რომ დავლიო, იქნებ მიშველოს. ეს იქნება ორი, ოთხი, ექვსი ასპირინი *(ჟურნალების მაგიდიდან ასპირინის ცარიელ ბოთლს იღებს)*. ასპირინის ნარკომანი ვხდები. მალე ბოთლში ჩადებული ბამბების

გამოხარშვას და წამლის წურვას დავიწყებ. რა მჭირს? რატომ ვერ ვიკიდებ? იმ დოკუმენტებზე ხელი არ უნდა მომეწერა *(მბრუნავ სკამში ჯდება).* ეჩივლა სასამართლოში. ორი წლის ოჯახი ტუალეტში ჩაირეცხა... აი, ასე, უცებ... ორი კვირის წინ, ეგ რო მითხრა, ყურებს არ ვუჯერებდი. თითქოს ჩემი ცოლი კი არა, ვიღაცა უცხო მელაპარაკებოდა. ცხრა უცხო.

(მკრთალი შუქი ოთახის სამუშაო ნაწილში. ნენსი სცენის ზედა მარჯვენა შემოსასვლელიდან შემოდის, მოსაცმელი აცვია და პირსახოცით თმას იმშრალებს)

ნენსი: ალიმენტი არ მინდა. ყველაფერი შენი იყოს. ოღონდ აქედან გავაღწიო.

ალანი: არ შეიძლება, დავსხდეთ და დავილაპარაკოთ?

ნენსი: ორმოცდაათჯერ ვილაპარაკეთ ამაზე. რა აზრი აქვს.

ალანი: რატომ?

ნენსი: არ ვიცი. ვეღარ ვიტან ამ ქორწინებას. მოსაწყენი ტიპი ხარ. თითქოს მახრჩობ. საერთოდ არ მესმის შენი და ფიზიკურადაც არ მიზიდავ. და თუ ღმერთი გწამს, ამას პირად შეურაცხყოფად ნუ მიიღებ. *(მარჯვენა გასასვლელიდან გადის. შუქი ქრება)*

ალანი: *(დგება)* ო, არა, პირად შეურაცხყოფად არ მივიღებ. უბრალოდ თავს მოვიკლავ და ეგ იქნება. ნეტა მაცოდინა სად ისვენებს ეს ჩემი წყეული ფსიქოთერაპევტი. სად იკარგებიან ხოლმე აგვისტოში? ქალაქიდან გადიან. ანუ ყოველ ზაფხულს, სანამ სექტემბერი არ დადგება, ნიუ იორკი გიჟებითაა სავსე. მერე რა? რომ დავუკავშირდე კიდეც, რა მერე? რაც არ უნდა ვუთხრა, ყველაფერზე მეტყვის სექსუალური პრობლემაო. ხო სისულელეა? რანაირად უნდა იყოს სექსუალური პრობლემა, როცა სექსიც კი არ გვქონია. კაი, ათასში ერთხელ გვქონდა. ოღონდ ამ დროს თან ტელევიზორს უყურებდა ხოლმე... თან პულტით არხებს რთავდა. *(მბრუნავ სკამზე ჯდება)* რა მჭირს? რატომ ვერ ვარ მაგარი ტიპი? რაშია საიდუმლო?

(სცენის ზედა, მარცხენა ნაწილი მკრთალად ნათდება. ზედა მარცხენა შემოსასვლელიდან ორბორტიან, ტრენჩის პალტოში გამოწყობილი ბოგარტი ჩნდება)

ბოგარტი: არავითარი საიდუმლო, შვილო. ქალბატონები მარტივი არსებები არიან. მე ჯერ ისეთი არ შემხვედრია, ვინც ყბაში გალაწუნების ან ორმოდახუთკალიბრიანის ენას ვერ გაიგებდა.

ალანი: ნენსის როგორ გავარტყამდი. ეგეთი ურთიერთობა არ გვქონია.

ბოგარტი: ურთიერთობა? სად მოქექე ეგ სიტყვა? პარკ ავენიუს ტვინის ექიმებმა გასწავლეს?

ალანი: მე შენსავით არ ვარ. „კასაბლანკას“ ბოლოს, ინგრიდ ბერგმანი რომ დაკარგე, შენ არ იყავი განადგურებული?

ბოგარტი: არც ისე, ცოტა ბურბონს და სოდას რომ ვერ ეშველა.

ალანი: მე არ ვსვამ. ჩემი სხეული ალკოჰოლს ვერ იტანს.

ბოგარტი: დამიჯერე და მაგ გატყლარჭულ ურთიერთობების ჯანდაბას მოეშვი. ეს ქვეყანა ქალებითაა სავსე. ერთი დასტვენა და ეგაა *(ბოგარტი სცენის ზედა მარჯვენა გასასვლელიდან გადის. სინათლე ქრება)*

ალანი: *(ბოლთას სცემს)* მართალია. ღორის ტილი ფეხზე რომ დაისვა, თავზე აგაცოცდება. მე რატომ ვერ ვუყურებ ასე ამ ამბავს? ისეთი არაფერია, რასაც ცოტა ბურბონი და სოდა ვერ უშველიდა. ერთ ყლუპ ბურბონს გადავკრავ, გავიქცევი და ტატუს გავიკეთებ. მაგრამ, მეორეს მხრივ, რომ დაფიქრდე, ცოლთან გაშორების გამო ასე რატომ უნდა მოვიკლა თავი? რა იცი, იქნებ უიმისოდ უკეთესად ვიყო. ახალგაზრდა ვარ... ჯანმრთელი... კარგი სამსახური მაქვს. იქნებ ეს შანსიც არის, ცოტა რომ გავნიავდე... იმას თუ შეუძლია ვინმეზე გამცვალოს, მეც შემიძლია... ვერც წარმოიდგენ, აქ ისეთ მაგარ ქალებს მოვყრი. აქაურობას ღამის კლუბად გადავაქცევ. მოვყრი სვინგერებს, გიჟებს, ნიმფომანიაკებს... გაყიდვების გოგოებს ჟურნალიდან.

თუ არ ვუნდივარ, არ შევეხვეწები. *(მბრუნავ სკამზე ჯდება)* სანამ წავიდოდა, იმ დღეს ისეთები მითხრა, ყურებს არ ვუჯერებდი.

(მკრთალი სინათლე სამუშაო კუთხეში. ქვედა მარჯვენა შემოსასვლელიდან ნენსი შემოდის. ჩანთა უჭირავს, ხელთათმანები და შარფი უკეთია)

ნენსი: ახალი ცხოვრების დაწყება მინდა. კლუბებში მინდა ვიარო, თხილამურებზე ვისრიალო, ზღვაზე წავიდე. მინდა ევროპა შემოვიარო მოტოციკლეტით. ჩვენ კიდევ ფილმების ყურების მეტს არაფერს ვაკეთებთ.

ალანი: კინოჟურნალში ვმუშაობ და მიგზავნიან მაგ ფილმებს. გარდა ამისა, ისე მოხდა, რომ მომწონს კიდეც კინო.

ნენსი: ფილმები იმიტომ მოგწონს, რომ ცხოვრების დიდი მაყურებელი ხარ. მე შენსავით არ ვარ. მე კეთება მინდა. მონაწილეობა. სიცილი მინდა. ერთად არასოდეს ვიცინით ხოლმე.

ალანი: მაგას როგორ ამბობ? შენი არ ვიცი, მაგრამ მე სულ ვიცინი - ვხითხითებ, ვხარხარებ - ხანდახან ძალიან ხმამაღლაც. მაგას თავი დაანებე, ეს ყველაფერი მაშინ რატომ არ იყო პრობლემა, ერთმანეთს რომ ვხვდებოდით?

ნენსი: მაშინ ყველაფერი სხვანაირად იყო - უფრო შემტევი იყავი.

ალანი: შებმისას ყველა შემტევია. ბუნებრივია. ცდილობ, რომ მეორე ადამიანზე შთაბეჭდილება მოახდინო. შენ გეგონა სულ ასეთი მომხიბვლელი ვიქნებოდი? გული ვერ გამიძლებდა.

ნენსი: კარგად იყავი, ალან. ჩემი ადვოკატი შენს ადვოკატს დაურეკავს.

ალანი: არ მყავს ადვოკატი... ჩემ ექიმთან დაარეკინე.

(ნენსი სცენის ზედა, ცენტრალური გასასვლელიდან გადის. სინათლე ქრება. ალანი ბოლთას სცემს) თავი მაგარი ქალი გონია. ეგეც არ მყავდეს ბოჰემის დედა. კოლეჯის ბუფეტის პროდუქტია. ცოტაც და ბალახის მოწევას დაიწყებს - იფიქრებს, მოდაშიაო. მე ერთხელ მოვწიე ბალახი. ცუდი რეაქცია მქონდა... თავიდან შარვლის გაძრობას ვცდილობდი. იმიტომ რომ დამნაშავე ვარ. ყოველთვის ყველაფერში დამნაშავე მგონია თავი. იმან მიმატოვა და მე აქეთ ვნერვიულობ, რას იზამს. (კარის ზარი რეკავს). დიკი და ლიდია მოვიდნენ. მადლობა ღმერთს, დიკი რომ არსებობს. საუკეთესო მეგობარია, მაგრამ ზედმეტად არ უნდა შევაწუხო. *(ისევ ზარი).* შევაწუხებ. *(კარს აღებს)*

(შემოდის დიკი, სიმპათიური, ახალგაზრდა მენეჯერის ტიპი, თავის ლამაზ ცოლთან, ლინდასთან ერთად)

დიკი: *(ტიხართან)* ალან, კარგად ხარ?

ლინდა: *(კარს კეტავს. ოთახს ჭრის ტიხრის ბოლომდე)* ვაიმე, შე საწყალო.

დიკი: როგორც კი წავიდა, მაშინვე რატომ არ დაგვირეკე?

ალანი: არ მინდოდა თქვენი შეწუხება.

დიკი: რა შეწუხებაზე ლაპარაკობ! ღმერთო ჩემო, აბა, მეგობრები რისთვის არიან?

ლინდა: მიზეზი რა იყო, რატომ გშორდებიო?

ალანი: *(მბრუნავი სკამისკენ მიდის, მერე კი კუთხეში, ფართო ძელსკამზე ჯდება)* სიცილი უნდა. სიცილი არ ყოფნის. არასაკმარისი სიცილი - ესაა გაშორების მიზეზი. და თხილამურებით სრიალი კიდევ - სათხილამუროდ უნდა წასვლა. უნდა, რომ მთიდან დაეშვას თხილამურებით და თან იდიოტივით იცინოს.

დიკი: მოიცა ერთი, ოფისში დავრეკავ და ვეტყვი, სად ვარ. როგორც კი დარეკე, პირდაპირ საქმიანი შეხვედრიდან გამოვვარდი. ალბათ იფიქრეს, გიჟიაო.

ლინდა: *(ხელჩანთას ძელსკამზე დებს)* შეგეხმიანა?

ალანი: შულმანის და ვაისის ფირმიდან შემეხმიანნენ, რაღაც ქაღალდებზე მომაწერინეს ხელი. მერე ნენსი მექსიკაში წავიდა. უცნაურია. მექსიკაში თაფლობის თვეში ვიყავით. მთელი ორი კვირა ლოგინში გავატარე. დიზინტერია მქონდა.

(ამ და შემდგომი ლაპარაკისას, ლინდა ჟურნალების მაგიდასთან ძირს დაყრილ წიგნებს იღებს და ბარის თავზე, თაროზე აწყობს; დივანზე დაყრილ ჟურნალებს - უკან, ჟურნალების მაგიდაზე. ბარიდან ჭიქას იღებს, დივნის კუთხიდან - ჯემპრს, ჟურნალების მაგიდიდან ასპირინს და ლანგრებს. ერთი სიტყვით, იქაურობას ალაგებს)

დიკი: *(ტელეფონზე)* ჯორჯ, შენ ხარ? შეთანხმდით პირობებზე? ჯანდაბა. კაი, თუ ვერა და, ვერა.

ლინდა: გაყინული საჭმლის გარდა არაფერს არ იმზადებ?

ალანი: ვინ იმზადებს? პირდაპირ გაყინულს ვყლაპავ.

დიკი: ახლავე გეტყვი, სად შეგიძლია დამიკავშირდე. ცოტა ხანი ამ ნომერზე ვიქნები გრამერსი 7-9205. მერე თხუთმეტი წუთით მიურეი ჰილზე, 5-4774 , მერე ტემპლტონი 8-5548 და მერე სახლში 5-8343 - ამ ნომერზე. კარგი, ჯორჯ.

ლინდა: ქუჩის კუთხეში რომ ტელეფონის ჯიხურია, არ გინდა, ჩავირბინო? ნომერს გაგიგებ და გადაეცი. *(სამზარეულოში გადის)*

დიკი: მაპატიე, ალან.

ალანი: ბოჰემა უნდა. უცებ აღმოაჩინა, რომ ოჯახური ცხოვრება ცუდია.

დიკი: არ გინდა მაგაზე ფიქრი.

(სამზარეულოდან ლინდა შემოდის ქაღალდის ხელსახოცით ხელში, რომელსაც საწერ მაგიდაზე დებს. მერე ურნის გარშემო იატაკზე დაყრილ ქაღალდებს იღებს და ურნაში ყრის, ურნას კი მაგიდის ქვეშ დებს. მერე მოაჯირზე გადაკიდებულ ხალათს და სკამის ზურგზე მიფენილ მაისურს და პირსახოცს კრეფს)

ალანი: მოსიყვარულე და უსაფრთხო კერა მოვუწყვე. მე რომ ვიპოვე, პატარა მიმტანი გოგო იყო ჰიპ ბაგელში. ყოველ საღამოს მივდიოდი ხოლმე და ზედმეტ ჩაის ვუტოვებდი. დოლარნახევარს ოცდათხუთმეტცენტიან ჩეკზე!

დიკი: ნენსი იმპულსური იყო. ეგ ყველამ ვიცოდით.

ალანი: სულაც არ წასულა იმპულსურად. ამაზე თვეები ლაპარაკობდა. უბრალოდ არ მჯეროდა, მართლა თუ იზამდა. ძაან გულუბრყვილო იდიოტი ვარ. ლოგინში ვწევარ ქალთან ერთად და ის კიდე ცნობარში ადვოკატებს ეძებს.

დიკი: კარგია, ეგ ახლა რომ აღმოაჩინე. ახალგაზრდა ხარ. ყველაფერი წინ გაქვს

(ლინდა ნივთებს საძინებელში ეზიდება)

ალანი: რა ახალგაზრდა? 29-ის ვარ. სექსუალური პოტენციის პიკი ათი წლის წინ მქონდა.

დიკი: კარგ მხარეებზე იფიქრე. თავისუფალი ხარ. გახვალ, ახალ, მაგარ გოგოებს გაიცნობ. იფლირტავებ, წვეულებებიც იქნება. რომანები გექნება გათხოვილ ქალებთან, სექსი - ყველა რასის, ფერის და შეხედულების გოგოებთან. *(ლინდა საძინებლიდან გამოდის, იატაკიდან ბალიშს იღებს და ძელსკამზე დებს)*

ალანი: ეჰ, მაგისგანაც იღლები კაცი. მაგას თავი დაანებე, ეგეთი რაღაცეები მე არასოდეს მემართება. ერთი გოგო გავაბრიყვე, რომ შევყვარებოდი და ახლა იმანაც მიმატოვა.

დიკი: ხედავ, რა ცუდი წარმოდგენა აქვს საკუთარ თავზე? რას იტყვი, ხომ არის უამრავი ქალი ამ ქვეყანაზე, ვისაც ალანი მოეწონებოდა?

ლინდა: ჰა?... ა, კი.., ცხადია.

დიკი: *(დივანზე ჯდება)* ქვეყანა სავსეა თავისუფალი ქალებით.

ალანი: ნენსის ვერცერთი ვერ ემგვანება. ძალიან საყვარელი იყო. ღამღამობით, ლოგინში რომ ვიწექი, მძინარეს ვუყურებდი ხოლმე. ხანდახან ეღვიძებოდა და ასეთს რომ მხედავდა, წამოიკივლებდა ხოლმე.

ლინდა: მართლა ყვარებია. მეტირება.

დიკი: რატომ გეტირება? კაცმა ინვესტიცია ჩადო და არ გაუმართლა.

ლინდა: ასპირინი არის სადმე? თავი წამომტკივდა.

დიკი: კაცი გიჟს გავს და შენ კიდევ ცუდად ხდები.

ლინდა: არ გამიბრაზდე.

დიკი: არ ვბრაზდები. დღეს ძალიან რთული დღე მქონდა.

ალანი: გინდა ასპირინი?

დიკი: არა.

ალანი: ყველა ასპირინი გადავყლაპე. დარვანს დალევ?

ლინდა: დავლევ. ჩემმა ფსიქოთერაპევტმა მირჩია დარვანი შაკიკისთვის.

ალანი: მეც მქონდა შაკიკი, მაგრამ ჩემმა ფსიქოთერაპევტმა მომირჩინა. ახლა ტუჩზე

გამომდის უზარმაზარი ჰერპესი.

ლინდა: მეც. დიდი და მახინჯი მუწუკები - დაძაბულობისგან.

ალანი: მე მგონი, ფსიქოთერაპია არ მიშველის. შეიძლება ლობოტომია დამჭირდეს.

ლინდა: ჩემი თერაპევტი დასასვენებლად რომ არის წასული, პარალიზებული ვარ.

დიკი: თქვენ ორნი უნდა დაქორწინდეთ და საცხოვრებლად საავადმყოფოში

გადახვიდეთ.

ალანი: ფრესკა გინდა დარვანთან ერთად?

ლინდა: თუ ვაშლის წვენი არ გაქვს, კი.

ალანი: აუ, ვაშლის წვენი და დარვანი ერთად სიზმარია.

ლინდა: ლიბრიუმი და პამიდვრის წვენი გიცდია?

ალანი: პირადად არა, მაგრამ სხვა ნევროზიანისგან ვიცი, რომ არაამქვეყნიური რამეა.

დიკი: უბრალო კოლა შეიძლება?

(ალანი საძინებელში გადის. ლინდა ქაღალდებს შემოსასვლელში აწყობს)

ლინდა: როგორ იტანჯება ნენსის გამო. რაღაც მხრივ, საყვარელიც არის. ჩემი გულისთვის ასე დაიტანჯებოდი?

დიკი: ცხადია, დავიტანჯებოდი, მაგრამ ჭკუიდან არ გადავიდოდი. ერთნაირები ხართ. თქვენ ორს ამინდის პროგნოზზეც შეგიძლიათ იტიროთ.

ლინდა: არ უნდა შეერთო ნენსი.

დიკი: სიტყვა არ დაცდენია. მე მეგონა ერთმანეთს ეწყობოდნენ.

ლინდა: იმიტომ რომ შენ არასოდეს არ გცალია. ვერც ამჩნევ, შენს გარშემო რა ხდება. უცნაური არ მოგეჩვენა, ცოლიანი კაცი ახალი წლის წვეულებაზე მარტო რომ მოვიდა?

დიკი: ასე რატომ ნერვიულობ?

ლინდა: ასეთი ამბები ბოლოს მიღებს. დაუცველობის მოზღვავებას ვგრძნობ.

დიკი: შენ გრძნობ დაუცველობის მოზღვავებას, არა? გითხრა, დღეს რა დამემართა? ამ დილით ფლორიდაში 100 აკრი მიწა ვიყიდე. ამ ასიდან ოთხმოცდათვრამეტი მცოცავი ქვიშა აღმოჩნდა. ჩემ სინდიკატს გოლფის მოედნის მოწყობა უნდოდა. და რა

გამოვიდა? ერთადერთი, რაც შეგვიძლია ვქნათ, სამხვრელიანი მოედნის მოწყობაა მსოფლიოში უდიდესი ქვიშის ორმოთი. რატომ უნდა გამომხტარიყო ახლა ეს ამბავი, როცა თავზე მილიონი პრობლემა მაყრია?

ლინდა: შენ ყოველთვის მილიონი პრობლემა გაყრია.

დიკი: რა ვქნა? ეგ არის ჩემი საქმე, ლინდა. სულ შესაძლებლობებს ვეძებ, ათასი თვალი და ყური მაქვს გამობმული, ბირჟაზე ვთამაშობ, ბრწყინვალე გარიგებებს ვდებ, იმ მოძრავი ქვიშების არ იყოს.

ლინდა: დიკ, შესანიშნავად ართმევ თავს. ჯერ ოცდაცხრის ხარ და უკვე ორჯერ გაკოტრდი.

დიკი: კარგი რა, ჩემო გოგო, ნუ ბრაზდები. შენზე ნაკლებს ვინერვიულებდი? ღმერთო, ალანს კი ვეუბნები, თავს ნუ იკლავ-მეთქი... მაგრამ მე მის ადგილას გავგიჟდებოდი. მოდი ახლა, ეს ამბავი უნდა გადავატანინოთ.

ლინდა: მისი შესაფერისი ვინმე კაი გოგო რომ ვიცოდე,

დიკი: მოდელებს ხომ იცნობ? იქნება ვინმე შენს სააგენტოში.

ლინდა: მარტოხელები ბევრნი არ არიან.

დიკი: ქეროლი?

ლინდა: დანიშნულია.

დიკი: დორინი?

ლინდა: მღვდელთან ერთად ცხოვრობს.

დიკი: *(გამალებული ფიქრობს)* ზორიტაზე რას იტყვი? იმ მოდელზე, დონის წვეულებაზე რომ იყო?

ლინდა: ალანს რომ გავაცნოთ? ღმერთო ჩემო, ცოცხლად შეჭამს. მარტო სათვალეს დატოვებს. არა, ეგ ცოტა რთული ამბავი იქნება.

ალანი: *(აბებით და სასმელებით შემოდის)* იცი რა, მიხარია, რომ შემოიარეთ. თავს ცოტათი უკეთ ვგრძნობ.

დიკი: მოიხედე, ალან, მე და ლინდა დღეს რესტორანში სადილობას ვაპირებთ. ვინმე კაი გოგოს დავპატიჟებთ და ჩვენ ოთხნი ერთად წავიდეთ.

ალანი: არა-ა, არამგონია.

დიკი: გეყოფა რა. სულ სახლში ხომ არ გამოიკეტები?

ალანი: ორი წელია სხვა ქალისთვის არ შემიხედავს. გადავეჩვიე. მიჩვეული რომ ვიყავი, მაშინაც გადაჩვეული ვიყავი.

დიკი: კარგი რა, ალან. შენი ემოციები წამგებიან აქციებში დააბანდე, ფასი დაეცა, კომპანია გაკოტრდა. ამ დროს რას შვრები? თავიდან აბანდებ... იქნებ უფრო სტაბილურ აქციებშიც... გრძელვადიანი ზრდის პოტენციალით.

ალანი: ვინ უნდა გამირიგო? მერილის, ლინჩის, პირსის, ფენერის და სმიტის კომპანია?

დიკი: გეყოფა, ალან. გამოცოცხლდი.

ალანი: ლამაზი გოგოა? ვარსკვლავებს უნდა წყვეტდეს, ახლა ჩემს თვითშეფასებას

რომ უშველოს რამე.

დიკი: ვინ ვუშოვოთ?

ალანი: ანუ, ჯერ არც შეგირჩევიათ?

დიკი: რამდენიმეზე ვფიქრობთ.

ლინდა: როგორი გოგოები მოგწონს?

დიკი: ნევროზიანები.

ალანი: ქერები მომწონს. პატარა, ქერა გოგოები გრძელი თმით და მოკლე

ქვედაბოლოებით, დიდი მკერდით, გონიერი, მოსაზრებული და მიხვედრილი.

დიკი: აბსურდულ სტანდარტებს ნუ უწესებ საკუთარ თავს.

ლინდა: ლამაზი უნდა იყოს, ხო? გრძელი თმით და დიდი ძუძუებით?

ალანი: ხო, და კარგი ტრაკითაც. ხელის მოსაკიდი რომ ქონდეს.

დიკი: ეს ყოველთვის ძალიან პრეტენზიული იყო.

ალანი: მართალია, მაგრამ რა გამოვიდა?

დიკი: მართალია, გასვლა და გართობა არასდროს გიყვარდა.

ლინდა: სალი კელერია ქერა და კაი ზომის მკერდი აქვს.

ალანი: როგორი ზომის?

ლინდა: *(ხელით აჩვენებს)* არ ვიცი - ალბათ ამხელა.

დიკი: დიდი ჭკუით არ გამოირჩევა.

ალანი: რას აკეთებს?

ლინდა: კლუბში, გალიაში ცეკვავს.

ალანი: დაივიწყეთ.

დიკი: მორჩი რა, შეიძლება რამე გამოვიდეს და ლოგინშიც შეიტყუო.

ალანი: ლოგინში აბა კი! ჩემი ბედი რომ ვიცი, სკამთან ვერ მივიტყუებ.

ლინდა: შენ დაკრულზე რომ ცეკვავენ, ის გოგოები, საერთოდ, დიდი ჭკუით არ გამოირჩევიან.

დიკი: არ ვიცი, რატომ ვტეხთ ამხელა ამბავს ერთ უწყინარ, სასიამოვნო სადილზე წამოყოლის გულისთვის.

ალანი: მაგის ხალისიც კი არ მაქვს. ჯერ კიდევ ნენსიზე ვარ მიჯაჭვული.

დიკი: ალან, დაივიწყე. წავიდა ნენსი.

ალანი: მართალია. თავისუფლება უნდოდა, რომ აქეთ-იქით ეტრაშუნა.

დიკი: მიდი რა, ძვირფასო, ვინმე გაიხსენე.

ალანი: ცხადად წარმომიდგენია, ახლა რას აკეთებს.

ნენსი: *(შემოდის) ოჰ, ჯეფრი, მომეხვიე, ჩამეხუტე. რა სასწაულია, ჩვენ ორნი ამ პატარა ქალაქში, სადღაც ხუარესში რომ შევხვდით ერთმანეთს. შენ სელიას*

გაშორდი, მე კიდევ ის ვიღაცა მოვიშორე თავიდან. რა ბედნიერებაა მაღალ, ძლიერ, სიმპათიურ, ქერა, ცისფერთვალება კაცთან წოლა (გადის).

ალანი: ორი კვირაა, რაც გავშორდით და უკვე ნაცისტს ხვდება.

ლინდა: მოიცა, შერონზე რას იტყვი?

დიკი: შერონზე რა უნდა ვთქვა?

ალანი: მომწონს ეგ სახელი.

ლინდა: შერონ ლეიქზე. ჯეკ ედელმანთან მუშაობს, ფოტოგრაფთან. მისი ასისტენტია.

დიკი: ჭკვიანი გოგოა და ძალიან საყვარელი.

ალანი: კარგი, წავედით.

დიკი: *(ლინდას)* დაურეკე.

ლინდა: *(ტელეფონისკენ მიდის)* მშვენიერია.

ალანი: *(ყოყმანობს)* რას ეტყვი?

ლინდა: *(ნომერს კრეფს)* ვნახავ, თუ სცალია სადილისთვის.

ალანი: *(პანიკა ეწყება)* განქორწინებაზე ნუ ეტყვი. არ ჯობია უთხრა, რომ ცოლი მომიკვდა?

დიკი: ეგ ჩვენ მოგვანდე.

ალანი: არ ვიცი, ღირს თუ არა. *(ბოლთის ცემას იწყებს)* ადრინდელი დაძაბულობა დამიბრუნდა. მუცელში რაღაცა მივლის.

ლინდა: *(ტელეფონზე ლაპარაკობს)* შერონ ლეიქს სთხოვეთ. ლინდა ქრისტი ვარ.

ალანი: *(ხელებს ყურებზე იფარებს, აქეთ-იქით დაძრწის და ნერვიულად ახშობს ხმას)* არ მინდა გავიგონო. ლალალაااა-მმმმმმმ-დე-მმმმმ...

ლინდა: შერონ? სალამი. ლინდა ვარ. როგორ ხარ? კარგია. მომისმინე -

ალანი: უმმმმმმ-მმმ

ლინდა: დღეს საღამოს მე და დიკი მეგობართან ერთად ვსადილობთ და ვიფიქრე, ხომ არ წამოვა-მეთქი.

ალანი: ამმმ-ममममम...

ლინდა: ა, არაფერი, რადიოა ჩართული *(დიკს ანიშნებს, რომ მიეშველოს. დიკი ალანს აჩუმებს)* ალან ფელიქსი ქვია. შენ არ იცნობ. დიკის მეგობარია.

ალანი: *(კარნახობს)* ეშხიანი. მწერალი. ქვრივი - ჩემი ცოლი მაღაროს აფეთქებას ემსხვერპლა.

ლინდა: ძალიან მხიარული ვინმეა. მგონი მოგეწონება.

ალანი: მომისმინე, თუ არ უნდა, დაივიწყე. ასეთი გამწვავება არაფერში არ მჭირდება.

ლინდა: კარგი. მანქანით გამოგივლით. რვაზე. რამე უბრალო კაბა. რა თქმა უნდა... დაბალქუსლიანი ნორმალურია.

ალანი: ჩაიცვას ქუსლიანები. ტულუზ-ლოტრეკი ხომ არ გგონივარ?

ლინდა: კარგი... გამოგივლით. კარგი, კარგად *(ტელეფონს კიდებს)* შენი საქმე მოგვარებულია.

ალანი: *(აღტაცებას ვერ მალავს)* ძალიან წინააღმდეგობრივი გრძნობები მაქვს. ეგ გოგო რომ ლოგინში მყავდეს და ამ დროს ნენსი შემოვიდეს. ოჰოჰოო.

დიკი: ალან, მოდი, ამ პირველ საღამოზე მეტისმეტად დიდ იმედებს ნუ დაამყარებ.

ალანი: *(ლინდას)* რამე გითხრა ჩემზე?

ლინდა: არ გიცნობს და რა უნდა ეთქვა?

ალანი: მგონი არ გითქვამს, რომ ქვრივი ვარ.

ლინდა: *(კოლა და ფრესკა სამზარეულოში მიაქვს)* მე პაემანი მოგიწყვე და ცოლის სიკვდილის ამბავი თვითონ მოუყევი.

ალანი: ოჰოჰო, ტანში ჟრუანტელი მივლის.

დიკი: *(ტელეფონზე რეკავს)* ჯერ შერონს გავუვლით, იმიტომ რომ ჩვენგან ორი კვარტლის მოშორებით ცხოვრობს და მერე ჩვენ სამნი შენ გამოგივლით. დაახლოებით ცხრის ათ წუთზე. მაგრამ მე გვიანობამდე ვერ გავჩერდები, ხვალ დილით საქმიანი შეხვედრა მაქვს.

ლინდა: *(სამზარეულოდან გამოდის ოთხი სუფთა ჭიქით და გარზე ალაგებს)* მომისმინე, რამე თუ დაგჭირდეს - ვთქვათ, გასარეცხი ჭურჭელი დაგიგროვდა ან ლოგინია ასალაგებელი --

დიკი: *(ტელეფონში)* გამარჯობა, ქრისტი ვარ. ახლა გრამერსის ნომრიდან გავდივარ და მიურეი ჰილის ნომერზე ვიქნები.

ალანი: მოდი, „ტავერნაში“ წავიდეთ. შესანიშნავი საღამოა ცენტრალურ პარკში სასადილოდ.

ლინდა: მშვენიერია. ძალიან რომანტიკული ადგილია.

დიკი: გარდა იმისა, რომ მგონი იწვიმებს. *(ალანს)* ყოჩაღად იქნები? *(დიკი და ლინდა კართან მიდიან)*

ალანი: ყოჩაღად ვიქნები, აბა რა. შხაპს მივიღებ და ოდეკოლონში ვიბანავებ... უკვე მოუთმენლად ველოდები საღამოს. ერთი სული მაქვს.

დიკი: აბა, დროებით.

ალანი: უკეთესად ვარ... *(კარს კეტავს. სახე ეცვლება და სერიოზული უხდება)* მეშინია.

ბნელდება

მოქმედება პირველი

სცენა მეორე

იგივე საღამო, რვა ხდება. ალანი საძინებლიდან გამოდის, კისერზე ჰალსტუხი უკეთია და ბარის თავზე დაკიდებულ სარკესთან მიდის. მისი არსება ნერვების, მოლოდინის მღელვარების და დანაშაულის გრძნობის აჯაფსანდალია. ცდილობს თმა ისე დაიყენოს, რომ სწორ მხარეს ჩამოეშალოს.

ალანი: ამ თმას ვერაფერს ვუხერხებ... სიცხე ბოლოს უღებს. შეუხედავი ტიპი არ ვარ... ნიკაპი მაქვს ცოტა სუსტი... რა ვუყოთ მერე... წესით, უკმაყოფილო არ უნდა დარჩეს. რას ელოდება ერთი? რონ ჰადსონს? ერთი ჩვეულებრივი, ნორმალური გარეგნობის ტიპი ვარ... შეიძლება ნორმალურზე ოდნავ უარესი. კარგი იქნებოდა მანამდე ნანახი ვყოლოდი... ვერ ვიტან ბრმა პაემანზე ყოფნას, გოგო რომ თვალებით გჭამს ხოლმე. რომ შემომხედოს და გაეცინოს ან იკივლოს? დაწყნარდი რა! ოდესმე ვინმეს გაუცინია ან უკივლია? ერთხელ. იმ ჩემ პატარა კურსელს, ბრუკლინის კოლეჯიდან. კართან რომ მოვიდა, დამინახა და გული წაუვიდა... მაგრამ ის

დიეტისგან იყო დასუსტებული. ბოლოს და ბოლოს... ბოგარტი დაბალი იყო... მაგრამ იმისი სიმაღლე ყველას ეკიდა.

ბოგარტი: *(მარჯვენა ცენტრალურ მხარეს, შემოსასვლელში ჩნდება)* ცუდად იწყებ, შვილო.

ალანი: ანუ, უარყოფითად?

ბოგარტი: რა თქმა უნდა. თამაშის დაწყებამდე უფრიალებ ცხვირწინ ყველა სიკეთეს. ეგ რა არის, სახეზე რას ისვამ?

ალანი: პარსვის შემდგომი ლოსიონია.

ბოგარტი: და ის მეორე?

ალანი: ეგ დეოდორანტია და ეს საბავშვო პუდრა.

ბოგარტი: რა ეშმაკად გინდა? ფრანგული ბორდელივით უნდა ყარდე?

ალანი: მჭირდება.

ბოგარტი: რისთვის? ოფლის გრცხვენია?

ალანი: შთაბეჭდილება მინდა მოვახდინო.

ბოგარტი: რავიცი, შვილო, ეტყობა ამ ცხოვრებამ თავგზა აგიბნია. ქალის საქმეა, კარგი სუნი ასდიოდეს და თავი მოგაწონოს. და, რაც არ უნდა ქნა, ნუ ეტყვი, რომ არ სვამ. იფიქრებს, რომ ბოისკაუტი ხარ. და ნუ ანერვიულდები - ერთადერთი ცუდი

რაც შეიძლება დაგემართოს ისაა, ქალიშვილი თუ აღმოჩნდება ან პოლიციელი.

(ზედა მარცხენა გასასვლელში გადის)

ალანი: ჩემი ბედი რომ ვიცი, ორივე ერთად იქნება. მართალია. ბევრ გოგოს აღაგზნებს ეს მამაკაცური უხეშობის თვისება. ამდენი დეოდორანტი არ უნდა წამესვა. მინდა ქვეცნობიერად დავუტოვო კარგი შთაბეჭდილება, ისე რომ არ იფიქროს, თითქოს ძალიან ვაწვები. უი, თუ ფოტოგრაფის დამხმარეა, ჯობია ფოტოგრაფიის რამდენიმე ტერმინი ვისწავლო *(ოთახს კვეთს, ჟურნალების თაროდან ჟურნალს იღებს და დაბალ მაგიდასთან ბრუნდება, თან კითხულობს)* „ჩემს ნიკონსა და სხვა კამერებს შორის მხოლოდ ხარისხში კი არ არის დიდი განსხვავება“, ამბობს ცნობილი ფოტოგრაფი გრეგ ბარნეტი, „არამედ, ჩემი ნიკონი ისეთი მყარია, აქეთ-იქით მოსროლასაც უძლებს, როცა ღია ცის ქვეშ გადაღებები უკონტროლო ხდება ხოლმე“ *(ჟურნალს მაგიდაზე აგდებს)*. იმ გოგოს მოვაჯადოვებ. ხომ იქნება მაგარი, მე და შერონს ერთი ნახვით რომ მოგვეწონოს ერთმანეთი? რატომაც არა? ამბობენ, ქალები მარტივი არსებები არიანო. მე ჯერ ისეთი ქალი არ შემხვედრია სილის გაწვნის ან ორმოცდახუთკალიბრიანის ენა რომ არ ესმოდეს. მოდი აქ, შერონ.

(ზედა მარჯვენა გასასვლელიდან სიზმრისეული შერონი შემოდის. ცოტათი აწეწილია... არც ფეხსაცმელი აცვია და არც წინდები. ისმის ფორტეპიანოზე შესრულებული „რაც დრო გადის“)

შერონი: ოჰ, ალან, სასწაული ხარ... ამ ღამემდე ექიმები მეუბნებოდნენ, ფრიგიდული ხარო. მადლობელი ვარ, რომ საწინააღმდეგო დაამტკიცე.

ალანი: ვინმე მეგობარს თუ აქვს იგივე პრობლემა, აქეთ გამოუშვი.

შერონი: დიკი და ლინდა შენზე მეუბნებოდნენ ბრწყინვალე ვინმეა, გენიოსიაო. ის აღარ უთქვამთ, ასეთი მხეცი თუ იყავი.

ალანი: ბოდიში, რომ გაგილაწუნე, ოქრო, მაგრამ ისტერიკაში ჩავარდი, რომ გითხარი, მეტი აღარ იქნება-მეთქი.

შერონი: ოჰ, ალან... ალან. *(გადის)*

(სინათლე იცვლება, მუსიკა ნელ-ნელა წყდება. ამავე დროს, კარზე ზარი რეკავს. შერონი ზედა მარცხენა გასასვლელში უჩინარდება)

ალანი: დიახ?

ლინდა: *(გარედან)* ლინდა ვარ.

ალანი: ლინდა?

ლინდა: მარტო ვარ *(ალანი კარს აღებს. ლინდა შემოდის. პარკით კოქტეილის თხილეულის ქილა მოაქვს)* შერონი დიკთან ერთადაა. მანქანას აყენებენ. მე წინ გამომიშვა, რომ დამეზვერა, ყველაფერი რიგზე თუ იყო.

ალანი: ყველაფერი შესანიშნავადაა... არ მეგონა, ასე გვიან თუ იყო.

ლინდა: *(კარადიდან ორ თასს იღებს და თხილეულს ანაწილებს)*. ვაიმე! რა ქენი? საპარსი ლოსიონი გაგიტყდა?

ალანი: მეხუმრები? ძალიან ბევრი მასხია?

ლინდა: ოდნავ ზედმეტი მოგსვლია... ასატანია. ჰაერზე რომ გავალთ, ვერც შეამჩნევ.

ალანი: *(საძინებლის კართან მიდის)* ერთი უცებ მივალაგებ.

ლინდა: *(თხილის თასს დაბალ მაგიდაზე დგამს)* აქაურობას მისალაგებელი არაფერი არ ჭირს. უცებ დავლევთ ცოტას და წავალთ.

ალანი: *(საწერი მაგიდის თაროდან წიგნს იღებს და ძელსკამზე დებს)* საგულდაგულოდ შერჩეული რამდენიმე ნივთი საჭირო შთაბეჭდილებას დატოვებს.

ლინდა: *(მეორე თასს პუფზე დებს)* იმედია, სანახევროდ გადაშლილი წიგნების დატოვებას არ აპირებ, ვითომ კითხულობდი.

ალანი: რატომაც არა? გარკვეულ წარმოდგენას ქმნის.

ლინდა: შენ წარმოდგენა არ გჭირდება.

ალანი: *(ბარის უჯრიდან მედალს იღებს)* აი, სწორედ ეს მინდოდა... ჩემი ასმეტრიანი სპრინტის მედალი.

ლინდა: მეხუმრები! იმედია, სპრინტის მედლის გამოფენას არ აპირებ!

ალანი: *(მედალს პუფზე დებს)* რატომაც არა! მთელი ოცი დოლარი გადავიხადე ამაში!

ლინდა: უბრალოდ ისეთი იყავი, როგორიც ხარ. მოეწონები.

ალანი: *(საწერის მაგიდის თავზე, თაროდან ბარტოკის ფირფიტას იღებს)* მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება უნდა მივიღო. თელონიუს მონკი თუ ბარტოკის სიმებიანი კვარტეტი ნომერი ხუთი?

ლინდა: თელონიუს მონკი რომ ჩართო და ბარტოკი ვითომ შემთხვევით სადმე მიგდებული დატოვო?

ალანი: *(ბარტოკს ტიხარზე აყუდებს)* შესანიშნავია! ზუსტად ეგრე ვიზამ!

ლინდა: *(ბარიდან ბოთლებს იღებს და ბარის თავზე ალაგებს)* პირველად ვხედავ, ვინმე ასე იკლავდეს თავს პაემანზე შთაბეჭდილების მოსახდენად. განსაკუთრებით, ასეთ რიგით პაემანზე. ნენსიზეც თუ ასე ზრუნავდი და ასეთ ინტერესს იჩენდი, არ მესმის, რატომ მიგატოვა.

ალანი: *(მონკის ფირფიტას პოულობს თაროზე)* ვიჩენდი, როგორ არა. ლექსებსაც ვუწერდი ხოლმე. და პატარა რესტორნებშიც დამყავდა სანთლის შუქზე სავახშმოდ. ფრანგულად ვუკვეთავდი და მერე მიმტანს სულ სხვა რაღაცეები მოქონდა.

ლინდა: *(გრძელი სკამის კუთხეში დგას)* იქნებ, სანთლის შუქზე რომ დახრილიყავი მისკენ და გეკოცნა...

ალანი: ვცადე, მაგრამ მეუბნებოდა, ვაიმე, აქ არა, ხალხი მოგვჩერებიაო. მერე, ერთხელ, ძალიან მაგარ ბისტროში, მეორე ავენიუზე, სახელოზე ცეცხლი მომეკიდა. *(მონკის ფირფიტას ფირსაკრავზე დებს და რთავს. ლინდა იცინის)* აი, ხომ ხედავ, გეცინება. სასაცილოა, არა? ნენსიმ ეს ჩემი სიტლანქის ნიშნად მიიღო და ალბათ ასეც იყო. *(კარის ზარი რეკავს. ალანი წამოხტება)* სიმარჯვე... უკიდეგანო თავდაჭერა... ამის უბადლო ოსტატი ვარ.

ლინდა: კაი. ყინულს მოვიტან. *(სამზარეულოში გადის, ალანი კი კარს აღებს. შემოდის დიკი, შერონ ლეიქთან ერთად. შერონი ძალიან სიმპათიურია, მიმზიდველი, მაგრამ ალანის წარმოსახვაში არსებული სექს-ბომბი არ არის. თუმცა, საკმარისად ეფექტურია, რომ ალანს ენა ჩაუვარდეს)*

დიკი: ალან, გაიცანი შერონი.

შერონი: გამარჯობა.

ალანი: ააა... ეეე... *(დამუნჯებული დგას. ხელით ისევ კარს ებღაუჭება. დიკი შერონს სასტუმრო ოთახისკენ ანიშნებს, კარს ამოძრავებს, რომ ალანს ხელი დააშვებინოს და კეტავს).*

შერონი: *(დივნის მარცხენა კუთხეში ჯდება)* ზუსტად ახლა ვეუბნებოდი დიკს, რომ ამ უბანში ჩემი მეგობრები ცხოვრობენ. გიბსონები. ხომ არ იცნობთ?

ალანი: გიბსონებს?... არა... *(დიკი ალანს ოთახისკენ უბიძგებს)*

შერონი: ჰელ და ელინორ გიბსონები. შესანიშნავი წყვილია. ქმარი ინტერიერის დიზაინერია.

ალანი: *(დივანს ელაპარაკება)* მართლა? ეგ ერთგვარად ჩემი ჰობიც არის.

შერონი: *(იქაურობას ათვალიერებს, მაინცდამაინც აღფრთოვანებული არ ჩანს)* აჰა... ამმმ.

ალანი: დიზაინში მთავარი ის არის, რომ დიზაინერის ხელი არ ეტყობოდეს.

დიკი: *(ტიხართან)* ერთ ადგილას უნდა დავრეკო და უცებ მოვალ.

ლინდა: *(სამზარეულოდან შემოდის ჩყლის გრაფინით და ყინულის ვედროთი. ბარზე დებს)* გამარჯობა!

შერონი: როგორ ხარ? ლინდა...

ლინდა: ბატონო?

შერონი: ჟასმინი გასხია?

ლინდა: მე? არა... *(ლინდა და ალანი ერთდროულად ხვდებიან, რომ ძლიერი სურნელი ალანისგან მოდის)* აბა, რას ვსვამთ?

დიკი: ვისკის.

შერონი: მე ცოტა შერის დავლევ, თუ შეიძლება.

ალანი: როგორც ყოველთვის *(ლინდა ალმაცერად უყურებს)* წყალი და ბურბონი *(ლინდა ბართან მიდის და სასმელებს ასხამს).*

შერონი: ოჰ... ბურბონის მოყვარული.

ალანი:. ხო, ცოტა სმას უნდა მოვუკლო. დღეში ლიტრამდე ვსვამ. *(დივნის მარჯვენა კუთხეში ჯდება).*

დიკი: *(ტელეფონზე)* გამარჯობა, ქრისტი ვარ. 5-8343 - ამ ნომერზე აღარ ვიქნები... რა? შეტყობინება დატოვა? *(საწერ მაგიდასთან ჯდება და რაღაცას იწერს)*

ლინდა: *(შერონთან შერის ჭიქა მიაქვს და ბართან ბრუნდება)* შერონი ფილმშია გადაღებული.

ალანი: მართლა?

შერონი: „მიწისქვეშეთში“.

ალანი: პორნოა?

შერონი: „მიწისქვეშეთში“ ქვია. ხომ იცი, ძალიან არტისტული თექვსმეტმილიმეტრიანები რომ არის, ეგაა.

ლინდა: *(საწერ მაგიდასთან მჯდარ დიკთან მიაქვს სასმელი და ბართან ბრუნდება)*

ალანს კინო ძალიან აინტერესებს.

შერონი: რას საქმიანობ?

ალანი: ავტორი ვარ. არაფერი მნიშვნელოვანი. კინოს კვარტალური ჟურნალისთვის ვწერ. ესეებს, კრიტიკას... რევიუებს. ეგეთ რაღაცეებს.

შერონი: სხვათა შორის, ჩემ ფილმს კარგი რევიუები ქონდა. და მე გამომარჩიეს. რა თქმა უნდა - ცხრა კაცს შორის ერთადერთი გოგო ვიყავი.

ალანი: მართლა? და რა ერქვა? შეიძლება ნანახი მაქვს.

შერონი: "ჯგუფური ძალადობა". სათაური კი ძალიან უხამსი ჩანს, მაგრამ საერთოდ არ ყოფილა სექსუალური...

დიკი: *(საწერ მაგიდასთან საქმეს ამთავრებს და შერონთან და ალანთან მიდის).* ეს უკვე სასაცილოც აღარ არის. მანქანაში ტელეფონი უნდა დავიყენო. სულ არ მაინტერესებს, ფოლკსვაგენია თუ რა არის.

ლინდა: *(ალანისთვის მოაქვს ჭიქა)* ბურბონი გაგთავებია, ასე რომ, მარტო წყალი ჩავასხი. *(დანარჩენებს უერთდება და სასმლით ხელში პუფზე ჯდება)* ჩაიხუთა. მგონი იწვიმებს.

შერონი: შეიძლება მაგიტომ მტკივა თავი. ასეთ ამინდში სინუსიტი მიტევს.

ალანი: მართლა? უნდა გამოირეცხო ხოლმე.

დიკი: *(მბრუნავ სკამზე ჯდება)* ამიტომაცაა ახლა სისულელე ღია ცის ქვეშ „ტავერნაში“ წასვლა.

შერონი: შეგიძლია, მუსიკას ცოტათი ჩაუწიო?

(ალანი ოთახს ჭრის და საწერ მაგიდასთან მიდის)

დიკი: თუ წვიმას აპირებს, ღია რესტორანში წასვლას რა აზრი აქვს?

ლინდა: ადრე გიყვარდა ხოლმე სასეირნოდ ჩემი გაყვანა წვიმაში.

ალანი: მიყვარს წვიმა... წვიმა ცხოვრების გზიდან მოგონებებს რეცხავს *(სანამ ამ დახვეწილი პროზის ეფექტი განელდება, ალანი ფირსაკრავისკენ ბრუნდება და შემთხვევით ნემსს გაკრავს ხელს. გამაყრუებელი ფხრიწინი ისმის. ყველა იბუზება. დიკი სკამზე ტრიალებს)*

ლინდა: ღმერთო... მართლა რა მოხერხებული ხარ.

დიკი: *(დგება და ჰუფთან მიდის თხილის ასაღებად)* ალანი ცოტა დაძაბულია.

ცოლთან პატარა უსიამოვნება მოუვიდა.

შერონი: ცოლთან? *(ალანი მონკის ფირფიტის გადასაკრავს იღებს და ფირფიტას ცვლის, გადასაკრავი ისევ ხელში უჭირავს)*

ლინდა: დიკ...

დიკი: ყოფილ ცოლთან... წასულთან.

ალანი: განსვენებულთან.

შერონი: რა საშინელებაა!

ლინდა: არა, არ მომკვდარა.

ალანი: ხო, ფიზიკურად ამ მომკვდარა... მაგრამ ერთად აღარ ვართ.

დიკი: მიატოვა.

შერონი: ვწუხვარ.

დიკი: *(ტელეფონთან მიდის)* ხომ არ დავრეკო და ჩინურ რესტორანში ხომ არ დავჯავშნო მაგიდა?

ლინდა: *(დიკს უერთდება)* აი, ნომერი ჩანთაში მაქვს.

ალანი: *(შერონს დივანზე გვერდით მიუჯდება, ხელში ისევ ფირფიტის გადასაკრავი უჭირავს)* არ ვიცი, თელონიუს მონკი თუ მოგწონს, მაგრამ ჩემთვის სარკასტული და მხიარული ჟღერადობა აქვს, რასაც რიგითი მსმენელი ვერ აღიქვამს, თუმცა მისი ჰარმონიული კონცეფციები ხშირად ჩამთრევია ხოლმე.

შერონი: ფირფიტის ყდაზე დაწერილივით ჟღერს *(ალანი გადასაკრავს დივნის უკან ჩურთავს)* ხოო... დიკს და ლინდას დიდი ხანია იცნობ?

ალანი: დიკს წლებია. ლინდას ასე კარგად არ ვიცნობ. დიკი მაგარი ტიპია. ცოტა ზედმეტად ამბიციურია, მაგრამ ყოველთვის ასეთი იყო. უმცროსი ძმასავით მყავს. რაც თავი მახსოვს, სულ რაღაც შარიდან გამოძვრომაში ვეხმარები. ერთგვარად,

მისაბაძი მაგალითივით ვყავარ *(ფეხის ფეხზე გადადებისას ფეხის თითს მაგიდას გამოდებს და ააყირავებს. თხილი და თასის ნამსხვრევები იატაკზე იფანტება. დიკი და ლინდა საჩქაროდ აწესრიგებენ იქაურობას. ნირწამხდარი ალანი უკან იხევს)*

დიკი: *(ალანს უბრუნდება)* მოგვარებულია, ჩინურ რესტორანში მივდივართ.

ალანი: ჩემ სპორტულ პიჯაკს მოვიცმევ და წავედით *(კოჭლობით მიდის საძინებლისკენ)*

შერონი: რამეს ხომ არ... ეწევა?

ლინდა: უი... არა.

დიკი: უცებ დავრეკავ სამსახურში და ვეტყვი სად ვიქნები.

ლინდა: *(აქაურობას ალაგებს)* იმედია, ჩინური საჭმელი გიყვარს.

შერონი: კი, კი... ლინდა, უბრალოდ დღეს ადრე უნდა წავიდე... ხვალ საშინელი დღე მაქვს.

ლინდა: უი, რა სამწუხაროა.

დიკი: *(ტელეფონზე)* გამარჯობა, ქრისტი ვარ. მისტერ მილტონმა თუ დარეკა, ჩეიზ მანჰეტენ ბანკიდან, ჰონგ ფეთ ნუდლ კომპანიში ვიქნები, ჩინურ კვარტალში. ეს ნომერია - 8-6321.

(ლინდა იატაკიდან ფოტოგრაფიის ჟურნალს იღებს და შერონს უწვდის. მერე ორივეს ჭიქებს ბარზე აწყობს. დიკი ლინდასთან მიდის და თავის ჭიქას აძლევს)

შერონი: უი! ეს ნახე! გრეგ ბარნეტი. გახსოვთ გრეგი?... ჯეკის ყოფილი პარტნიორი... *(კითხულობს)* „ჩემს ნიკონსა და სხვა კამერებს შორის მხოლოდ ხარისხში კი არ არის დიდი განსხვავება“, ამბობს ცნობილი ფოტოგრაფი გრეგ ბარნეტი, „არამედ, ჩემი ნიკონი ისეთი მყარია, აქეთ-იქით მოსროლასაც უძლებს, როცა ღია ცის ქვეშ გადაღებები უკონტროლო ხდება ხოლმე“. ნეტავ რამდენი გადაუხადეს, ეს რომ ეთქვა?

ალანი: *(საძინებლიდან გამოდის და შერონთან მიდის)* მზად ვარ! და იცოდეთ, საჭმლის შეკვეთა მე უნდა მომანდოთ, იმიტომ რომ ჩინური სამზარეულოს ექსპერტი ვარ.

შერონი: მშვენიერია! ვკვდები, ისე მშია... დღეს იმდენი ვიწვალეთ პატარა ბავშვების გადასაღებად.

ალანი: *(მკლავს სთავაზობს გასვლისას)* მართლა? ფოტოგრაფია ჩემი ერთ-ერთი ჰობია. მაგაზე გამახსენდა, ბოლო დროს ჩემი კამერები რაღაცას ურევს. ნახე, ვგრძნობ, რომ ჩემს ნიკონსა და სხვა კამერებს შორის მხოლოდ ხარისხში კი არ არის დიდი განსხვავება, არამედ, ნიკონი ისეთი მყარია, აქეთ-იქით მოსროლასაც უძლებს, როცა...

ფარდა

მეორე მოქმედება

პირველი სცენა

ფარდა იწევა. ალანი მარტოა... იმ საღამოდან ორი დამთრგუნველი კვირაა გასული. დივანზე ზის, ტელეფონი დაბალ მაგიდაზე უდევს, თვითონ კი ნომრების ძველ წიგნაკს ფურცლავს.

ალანი: მილდრედ დენბერგი... არც მახსოვს, ვინაა. მარიონ დრეისონი... ჩემს უკან იჯდა სამოქალაქოზე. ტობი კოვაჩი... კი... ეს მახსოვს! ძაან ადვილი შესაბმელი იყო, მაგარი ფეხებით და რაღაცა ახირებულ წვეულებებს აწყობდა ხოლმე. *(ნომერს კრეფს)* ალო? კოვაჩების ბინაა? აჰ... ტობის როგორ დავუკავშირდე? უი, მართლა? გასაგებია. არა, მადლობა, გაატარეთ, დაივიწყეთ. *(თიშავს)* რაბინ კაპლანს გაყოლია! დავითარსე. არ მიმართლებს. *(წიგნაკს ფურცლავს)* მერილინ პერი. დუბროვის

სილამაზის დედოფალი. *(ნომერს კრეფს)* გამარჯობა, პერის ბინაა? მერილინი მანდ ცხოვრობს? *(დგება და ოთახს ჭრის)* ხომ არ იცით, როგორ დავუკავშირდე? ძველი მეგობარი ვარ მიდვუდის სკოლიდან, ალან ფელიქსი. რაღაც პერიოდი ერთმანეთს ვხვდებოდით. გახსოვართ? საოცარია! თერთმეტი წლის წინ იყო... დიახ, დიახ... დაბალი, წითური თმით და სათვალეებით - არა, ეგ აღარ მჭირს. როგორ დავუკავშირდე? მართლა? ისევ გაბრაზებულია? თერთმეტი წლის წინ იყო ეგ ამბავი, ხომ გახსოვთ. როდის ელაპარაკეთ? გასულ კვირას... და კონკრეტულად ჩემზე გითხრათ, ნომერი არ მისცეო? კარგი, კარგად იყავით, მისის პერი. არა, არაუშავს. *(თიშავს და ტელეფონს ძელსკამზე დებს)* არ ვიცი, კიდევ რამდენ ხანს გავუძლებ. მომენატრა ცოლის ყოლა. ეს ბოლო ორი კვირა საშინელება იყო. კიდევ კარგი, ლინდა თავის მეგობრებს მაინც მირიგებდა. მაგრამ არავისთან არაფერი არ გამოვიდა. ჯერ ის ფოტოგრაფის ასისტენტი იყო, შერონი. იმასთან ყველაფერი გავაფუჭე. მერე, მეორე საღამოს ჯინა იყო.

(ზედა, მარჯვენა შემოსასვლელიდან ჯინა შემოდის. განათება იკლებს და ალანი ჯინას ფეხდაფეხ მიჰყვება. ორნი სცენის ქვედა მხარეს, ტიხართან ჩერდებიან)

ჯინა: ღამე მშვიდობისა, ალან *(ალანი ჩასახუტებლად იწევს)* არა!

ალანი: რატომაც არა?

ჯინა: კათოლიკე ვარ.

ალანი: რჯულს შევიცვლი.

ჯინა: გარდა ამისა, დღეს ჩემი წამალი არ დამილევია.

(საძინებელში გადის და ზურგსუკან კარს იჯახუნებს)

ალანი: ეგ არაფერი... სამაგიეროდ, მე დავლიე ორმაგი! *(სინათლე მატულობს)* რა დავაშავე? კარზე შოკოლადის ასორტით რომ მივადექი, იმ წუთიდან ცივად მექცეოდა. ვანესა? ვანესა სულ რაღაც ერთი კვირის წინ იყო. წესით, იმ დროისთვის უიღბლობას უნდა ჩაევლო.

(სინათლე იკლებს და გვიანი ღამის რომანტიკულ განათებაში გადადის. ზემოთა მარცხენა შემოსასვლელიდან ეგზოტიკურად ჩაცმული ვანესა შემოდის, გრაციოზულად მინარნარებს დივნისკენ და მიესვენება. ალანი გვერდით უჯდება)

ვანესა: ბევრი კაცი მყოლია... პირველი თორმეტი წლისას მყავდა. მას მერე დაუსრულებელი ნაკადი იყო. პოეტები, მწერლები. ხუთ მსახიობთანაც მიცხოვრია ერთ სახლში. ზოგი გეი იყო, მაგრამ მაგას რა მნიშვნელობა ჰქონდა? გამოვასწორე.

სირთულეების არ მეშინოდა. ჩემი ცხოვრება ორგიების დაუსრულებელი ციკლი იყო. იელის უნივერსიტეტში ტაუ ეპილსონის მთელი საძმო დავდე ბეჭებზე სამ საათში. ნიუ ჰეივენში ეს რეკორდი ჯერაც არავის მოუხსნია. ყოველთვის მიმაჩნდა, რომ სექსი მშვენიერი და გულწრფელია. და რაც შეიძლება ხშირად და სრულად ვტკბებოდი *(ალანი, რომელიც სულ უფრო იღგზნება, თავს ველარ იკავებს და ვანესას ეტაკება. ქალი კივილით წამოხტება)* ფუუუ! შენ მე ვინ გგონივარ?! *(მარცხენა ზედა გასასვლელიდან გადის. სინათლე მატულობს)*

ალანი: როგორ გავიგე ეს მინიშნებები არასწორად?... რა ვქნა? ლინდას თითქმის ყველა მეგობარი ამოვწურე. მგონი ქალების გასაცნობად უკიდურესი ზომების მიღება მომიწევს... ვთქვათ, ისთ ჰემპტონის პლაჟზე ან კოლგოტების მაღაზიაში ყურყუტი. მეტისმეტად მორცხვი ვარ, ესენი მარტომ რომ ვქნა. დიკს რომც არ ეცალოს, ლინდა წამომყვება. დიკი და ლინდა მართლა მაგრად მეხმარებიან. ყველგან დავათრევ გოგოების საძებნელად. ლინდას მგონი მოწონს კიდეც. იმ საღამოს, ზუსტად ვიცი, კლუბში ძალიან მოეწონა.

(განათება იკლებს. დიკი და ლინდა შემოდიან და ძელსკამის კიდეზე სხდებიან. მათ უკან, პლატფორმაზე, ბრჭყვიალაკაბიანი, გასაგიჟებელი ქერა გოგო ისე ძიგძიგებს და იკლაკნება, ჭკუიდან გადაგიყვანს. მუსიკა ღრიალებს)

ლინდა: აუ, რა მაგარია. რამდენი ხანია, კლუბში არ ვყოფილვართ.

ალანი: ახლა გული გამისკდება. ეს გოგო ნამდვილია?

დიკი: *(ტელეფონში)* 4-3605 ლეჰაი - ამ ნომერზე ვარ.

ალანი: მაგარი ქალია. ამის გულისთვის საკუთარ დედას მონად გავყიდდი!

ლინდა: მერე, მიდი და ეცეკვე. უკვე ერთი საათია შორიდან მიშტერებიხარ.

ალანი: არ შემიძლია... არ ვიცნობ.

დიკი: *(ტელეფონს კიდებს და მათკენ ბრუნდება)* ქენით ახლა რამე. მე ვეღარ დავრჩები. ხვალ ადრე ვარ ასადგომი. რამდენიმე მეგობარს სასამართლოში უნდა ვუჩივლო. თქვენ დარჩით მაშინ, ოღონდ სახლში მოსვლას ძალიან ნუ დააგვიანებ. წარმატებები *(სამზარეულოს გავლით გადის)*

ალანი: მიყვარხარ, გოგონი - ვინც არ უნდა იყო - ბავშვი მინდა შენგან.

(ხმაურიანი მუსიკა უფრო ნელით იცვლება)

ლინდა: ადექი და მიდი.

ალანი: ცეკვა არ მეხერხება. ოდესმე თუ გინახავს, სხეულს როგორ ვამოძრავებ?

საბეჭდი დაზგა მჯობია.

ლინდა: *(პლატფორმასთან მიათრევს)* მიდი...

ალანი: მეშინია - გთხოვ - არა - არა...

ლინდა: იცეკვე. აი, ასე... თან ითვალე... ერთი... ორი... ერთი... ორი. ახლა

გამოელაპარაკე. მიდი.

ალანი: ერთი... ორი... ერთი... ორი...

ლინდა: რამე უფრო აზრიანი სცადე.

ალანი: სამი... ოთხი... სამი... ოთხი...

ლინდა: არა!.. მიდი...

ალანი: ამმმ... საღამო მშვიდობისა, მის. ცეკვით ხომ არ დაინტერესდებოდით?

გოგო: აბა რა!

(უცებ მუსიკა ისევ იცვლება და ველური როკი ირთვება. გოგოც შესაბამისად

აყოლებს სხეულს. ალანის სასოწარკვეთილი მცდელობა, რომ თავი მოაწონოს,

ესპანურთან მიახლოებული რამდენიმე ფანდანგოთი მთავრდება. იქამდე, ლინდა

ჩუმად გადის ქვედა, მარჯვენა გასასვლელიდან. გოგო ცეკვა-ცეკვით მიიწევს სცენის ზედა, ცენტრალური ნაწილისკენ, ალანს შეხედავს და აგდებული სიცილი აუტყდება. უკან მიდის და სცენას ზედა, ცენტრალური გასასვლელით ტოვებს. სინათლე ისევ იმატებს და მუსიკა ნელ-ნელა წყდება)

ალანი: უფრო ინტელექტუალი გოგო მჭირდება... აი, რა მიზიდავს ქალში... აი, ამიტომ ვიფიქრე გასულ ორშაბათს, რა გადასარევი აზრია თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში წასვლა-მეთქი...

(სინათლე იკლებს და მხოლოდ ავანსცენას კვეთს შუქის კორიდორი. ქვედა მარჯვენა მხრიდან საწვიმარში გამოწყობილი ლინდა შემოდის. ალანი ლინდას უერთდება)

ლინდა: აუ, ამ სალვადორ დალის შეხედე... მსოფლიოში ნებისმიერი ნახატის ქონა რომ შეგძლებოდა, რომელს აირჩევდი? *(ამ ლაპარაკში გართულები, მარცხნივ გადადიან)*

ალანი: ვან გოგს. ვან გოგის ნებისმიერს.

ლინდა: მეც ვან გოგს. რაღაც მისტიურად მიზიდავს. ნეტავ რატომ?

ალანი: მე მარტო ის ვიცი, რომ ძალიან მაგარი მხატვარი იყო და საყვარელი გოგოს გულისთვის ყური მოიჭრა.

ლინდა: ისეთი რამეა, შენ რომ იზამდი გოგოს გულისთვის.

ალანი: ხო... *(დარცხვენილი)* ოღონდ ძალიან უნდა მომწონებოდა.

ლინდა: ნეტა დიკი თუ მოიჭრიდა ყურს ჩემი გულისთვის.

ალანი: ჯობია ეგ არ კითხო. ბოლო დროს ძალიან მოუცლელია.

ლინდა: საოცარი შეგრძნება უნდა იყოს, ვინმეს ასე სიგიჟემდე რომ უყვარხარ.

ალანი: მგონი არაფერი დაშავდება, გუგენჰაიმში თუ გადავალთ და იქ ვნახავთ, რამე თუ ხდება.

(ქვედა, მარცხენა მხრიდან ლამაზი, ქერა გოგო შემოდის, მოკასინებში და გადასაკიდი ჩანთით. დაბალწელიან ჯინსებში და წელზემოთ შეკრულ პერანგში მოშიშვლებული წელი უჩანს)

ლინდა: აი, მოდის ერთი.

ალანი: აჰ, ეგაა.

ლინდა: მიდი... გამოელაპარაკე.

ალანი: დამიჭერენ.

ლინდა: მიდი, სანამ ბევრი ხალხი შემოსულა, თორემ მერე შეგრცხვება.

ალანი: აა... მშვენიერი ფრანც კლაინი ჰქონიათ, არა?

გოგო: დიახ.

ალანი: თქვენ რას გეუბნებათ ეს ნამუშევარი? *(ლინდა მბრუნავ სკამზე ჯდება და ზურგით ბრუნდება)*

გოგო: სამყაროს ნეგატიურობას იმეორებს. არსებობის ამაზრზენ, მარტოსულ სიცარიელეს - არარსებობას - ადამიანის განსაცდელს, რომელიც იძულებულია ხრიოკ, უღმერთო მარადიულობაში იცხოვროს, როგორც უძირო უფსკრულში მოკიაფე ცეცხლის პაწაწინა ალმა - მხოლოდ დანაკარგით, საშინელებითა და დეგრადაციით გარემოცულმა და გამოუსადეგარ, შავ გიჟის პერანგად იქცეს კუნაპეტ, აბსურდულ კოსმოსში.

ალანი: შაბათ საღამოს რას აკეთებ?

გოგო: თავს ვიკლავ. *(გადის)*

ალანი: პარასკევს? ინტელექტუალი ქალები ცალკე თავის ტკივილია - ქალი ჭკუის და ვნების საჭირო ნაზავი უნდა იყოს. აი, ლინდაა ეგეთი. ისეთი ადვილია მასთან ყოფნა... როგორც იმ დღეს, გასულ კვირას, ცენტრალ პარკში... ისეთი საყვარელი იყო და მეგობრული, და ისე ცდილობდა დახმარებას *(პუფში ინაცვლებს და ხელებით*

ნიჩბის მოსმის მოძრაობებს აკეთებს... ისმის შესაბამისი ხმები. ლინდა, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში მბრუნავ სკამზე იჯდა, მისკენ ბრუნდება)

ლინდა: როგორ ვერ ხვდები, ალან? ყველაფერი გაქვს, რაც საჭიროა. ჭკვიანი ხარ, მხიარული და რომანტიკულიც კი - ოღონდ ეს ყველაფერი უნდა ირწმუნო. გოგოს დაინახავ თუ არა, მაშინვე სიყალბის ნიღაბს იფარებ.

ალანი: შენთან სხვანაირი ვარ. შენ ჩემი მეგობრის ცოლი ხარ და შთაბეჭდილების მოხდენას არ ვცდილობ.

ლინდა: მეც მაგას გეუბნები... იყავი, როგორიც ხარ. ნებისმიერ გოგოს შეუყვარდები.

ალანი: მომისმინე, მთელი კვირაა ძალიან მეხმარები, მთელ დროს ჩემთან ატარებ *(ნიჩბების მოსმას წყვეტს და ჯიბიდან ხელსახოცში გახვეულ პატარა ნივთს იღებს)*

ლინდა: სიმართლე გითხრა, მე თვითონაც ძალიან მსიამოვნებს.

ალანი: *(საჩუქარს აძლევს)* ეს მინდოდა მომეცა შენთვის - დღეს ხომ შენი დაბადების დღეა.

ლინდა: საიდან იცი, რომ ჩემი დაბადების დღეა?

ალანი: ერთხელ ახსენე და დამამახსოვრდა - ზუსტად მაგ დღეს გაიკეთა დედაჩემმა ჰისტერექტომია.

ლინდა: *(პუფზე ინაცვლებს და ზუსტად ალანის უკან ჩაიმუხლება)* პლასტმასის მოციცნული სკუნსი - რა საოცრებაა, რა სილამაზეა.

ალანი: შვარცის მაღაზიაში დავინახე და ისეთი საყვარელი ჩანდა. გამახსენდა, რომ ამბობდი, სკუნსი ჩემი საყვარელი ცხოველიაო... ფუნქცია არა აქვს... უბრალოდ არსებობსო...

ლინდა: გული ამიჩუყდა. არ ვიცი, რა გითხრა. *(ისევ მბრუნავ სკამში ჯდება და ზურგით ბრუნდება. მერე კი მარჯვენა ცენტრალური გასასვლელიდან გადის. ალანი ნიჩბების მოსმას უბრუნდება, მერე კი სინათლე იმატებს და ისიც თავის სასტუმრო ოთახში ინაცვლებს)*

ალანი: ლინდა მაგარი გოგოა. მე მგონი, დიკი საკმარის ყურადღებას არ აქცევს. ჯანდაბა, ასეც ვუთხარი იმ დღეს. მეგობარი თუ ვარ, სიმართლე პირში უნდა ვუთხრა. შეიგნოს, რომ საქმეზე ნაკლებად უნდა ინერვიულოს და ლინდას ცოტა უკეთესად მოექცეს.

(განათება იცვლება და მარჯვენა ცენტრალური შემოსასვლელიდან დიკი შემოდის)

დიკი: *(ოთახს ჭრის, დივანთან მიდის და პორტფელს დაბალ მაგიდაზე დებს)* როგორ მოხდა, რომ შენ გაგახსენდა დაბადების დღის საჩუქარი და მე - არა? რატომ არ გამაფრთხილე?

ალანი: ვიფიქრე, მისი ცოლია და ეხსომება-მეთქი.

დიკი: *(ძელსკამზე დადებულ ტელეფონთან მიდის)* კისრამდე საქმეში ვარ. ტენესიში ორმოცდაათი ნაკვეთი ვიყიდე სამშენებლოდ და ყველა რადიოაქტიური აღმოჩნდა. მაგრად ჩავისვარე. *(ნომერს კრეფს)*

ალანი: იქნებ ათასში ერთხელ მაინც გაგეყვანა ლინდა სადმე.

დიკი: ახლა მაგაზე ყველაზე ნაკლებად ვფიქრობ. ეგეც არ იყოს, წინა კვირას ხომ წამოგყევით ორივეს კლუბში?

ალანი: ეგ ერთხელ იყო, ორი კვირის წინ, და მაშინაც ადრე წახვედი. არც ეცეკვე და დაბადების დღეც დაგავიწყდა.

დიკი: მთლად არ დამვიწყებია. დამაგვიანდა. ჩემმა მდივანმა რაღაც სამკაული მიუტანა.

ალანი: შენმა მდივანმა? მაინცდამაინც პირადული საჩუქარი ვერ არის. ქალებს უყვართ, პირადად რომ ურჩევ რამე ხარახურას...

დიკი: თუ გაქვს წარმოდგენა, რაც ნიშნავს, ორმოცდაათი რადიოაქტიური ნაკვეთი რომ გაქვს გამოჩხერილი? რა ავაშენო? რენტგენის ცენტრი? *(ტელეფონში)*

გამარჯობა. თქვენ ხართ, მის კარსონ? ახალი კონტრაქტის პირობები გამახსენეთ, ათასხუთასია თუ ათასრვაასი?... გმადლობთ *(თიშავს და დივანთან ბრუნდება)*

ალანი: მოკლედ, ათასში ერთხელ მაინც წაიყვანე ხოლმე საცეკვაოდ ან პიკნიკზე.

დიკი: არ ვიცი, ვნახოთ... იქნებ ძალიან ადრე შევირთე ცოლი. ისეთი ლამაზი იყო... პირველი სტუდენტი იყო კურსზე ბარდის კოლეჯში. არასოდეს დამავიწყდება ის გამოსაშვები საღამო - მთვარის შუქი, ნელი მუსიკა. თვალს ვერ ვწყვეტდი მის მხრებზე გადმოღვრილ თმას და ვფიქრობდი, რა იდეალური ვინმეა ახალგაზრდა აღმასრულებლის კორპორატიული იმიჯისთვის-მეთქი.

ალანი: არ მინდა გაწყენინო, მაგრამ ეგ ცოტა უგულოდ ჟღერს.

დიკი: ალან, მორჩი რა. ლინდამ იცის, რომ მიყვარს. ღმერთია მოწმე, ვგიჟდები მასზე - რაც გავიცანი, იმ წამიდან. ამასობაში, მოძრავი ქვიშებისა და რადიოაქტიურობის გადამკიდე, მალე ტაქსის მძღოლობას დავიწყებ. *(განათება იცვლება და დიკი უჩინარდება)*

ალანი: ზოგი ვერ აფასებს იმ სიკეთეს, რაც აქვს. *(პუფიდან დგება და საწერ მაგიდასთან მიდის)* კაი, ოცნებას უნდა მოვრჩე... ანა მეი ვონზე სტატია თუ არ დავამთავრე, სამსახურს დავკარგავ. *(კარზე ზარი რეკავს. ალანი აღებს. ლინდაა)* გამარჯობა.

ლინდა: გამარჯობა.

ალანი: რა მოხდა?

ლინდა: იმედია, ცუდ დროს არ მოვედი... შფოთვის შეტევისთვის რამე ხომ არ გაქვს?

დამამშვიდებელი მჭირდება.

ალანი: ყველაფერი მაქვს. მოსიარულე აფთიაქი ვარ.

ლინდა: მუცლის ღრუში პულსაციას ვგრძნობ.

ალანი: რა იცი, რომ შფოთვაა? რა იცი, რომ შიში არ არის?

ლინდა: მუცელში დაძაბულობის შეგრძნება მაქვს.

ალანი: სუნთქვა გიჭირს?

ლინდა: ცოტათი - მეშინია და არ ვიცი, რისი.

ალანი: გასაგებია.

ლინდა: შიშია თუ შფოთვა?

ალანი: ჰომოსექსუალური პანიკაა *(საძინებელში გადის)*

ლინდა: ყოვეთვის ასე ვარ, დიკი მივლინებაში რომ მიდის ხოლმე.

ალანი: *(საძინებლიდან)* მართლა?

ლინდა: ერთი დღით კლივლენდში მოუწია გაფრენა. ავდექი, ჩალაგებაში დავეხმარე,

აეროპორტში წავიყვანე და იუნაითედ ეარლაინსის ტერმინალში ვარწყიე.

ალანი: *(აბით და წყლით ბრუნდება)* ეგ კარგი ტერმინალია. მეც მირწყევია მანდ.

ლინდა: არ ვიცი, ასე რა მანერვიულებს.

ალანი: განშორების შიშია. საინტერესო ფსიქოლოგიური ფენომენია. ერთხელ, ცოლიანი როცა ვიყავი, ვაშინგტონში მომიწია წასვლა და მიუხედავად იმისა, რომ მე მივდიოდი, ცუდად გავხდი. მაგრამ როცა დავბრუნდი, ჩემმა ცოლმა არწყია. *(წყლის ჭიქას საძინებელში აბრუნებს)*

ლინდა: ჩემი ფსიქოთერაპევტი მეუბნებოდა, თავს დამნაშავედ გრძნობ, იმიტომ რომ სინამდვილეში გინდა წავიდესო.

ალანი: *(საძინებლიდან ბრუნდება)* კაი რა... შენი ვერაფერი გამიგია... ყველაფერი გაქვს, რაც საჭიროა. ჭკვიანი ხარ... ხალხი ჟურნალებისთვის გიღებს და იცი, რომ ლამაზი ხარ. კითხულობ, ბახს უსმენ, ბედნიერი ოჯახი გაქვს. ანუ, სიმპტომების კონა რატომ უნდა იყო?

ლინდა: შენც არაფერი გაკლია, მაგრამ შენც სიმპტომების კონა ხარ. ალბათ ეს ბავშვობაში გვემართება... თავი რომ მახინჯი გგონია და შენი მშობლები შორდებიან... თავს მიგდებულად გრძნობ... შენც გექნება გამოცდილი.

ალანი: ჩემი მშობლები არ გაშორებულან... ვეხვეწე, მაგრამ არ ქნეს.

ლინდა: *(დივანზე ჯდება)* მართლა ფიქრობ, რომ არაფერი არ მაკლია?

ალანი: კი. და ხომ იცი, რა პრეტენზიული ვარ. არ ვიცი, რისი იმედით, მაგრამ ვარ.

ლინდა: რა უცნაურია. ყოველთვის მეგონა, რომ მაინცდამაინც არ მოგწონდი. ანუ იმ დროს, დიკს რომ გავყევი ცოლად.

ალანი: მე მეგონა შენ არ გეხატებოდი გულზე. მეგონა, ალბათ გონია, რომ ცოტა ვურევ-მეთქი.

ლინდა: აქამდე წესიერად არც გიცნობდი. ანუ, ასე ერთად არასოდეს გაგვიტარებია დრო. დიკი შენზე ამბობდა, პირველი ადამიანია, ვინც კვირაში ექვს დღეს „მალტის შევარდენს“ უყურებსო. მერე ჩვენ ოთხნი გავედით ერთად და იქ სხვანაირად იქცეოდი. თითქოს პირველად ამ რამდენიმე კვირაში გაგიცანი და ერთ ძალიან საინტერესო დასკვნამდე მივედი. მართლა ურევ... მაგრამ ერთ-ერთი საუკეთესო ადამიანი ხარ, ვინც კი ოდესმე მცნობია.

ალანი: ძალიან კარგი. იმიტომ რომ შენ ერთადერთი ნამდვილად პლატონური მეგობარი ხარ, ვინც კი ოდესმე მყოლია.

ლინდა: მიყვარს პლატონური ურთიერთობები. ბევრად მარტივია. არა, ქალის და კაცის ურთიერთობების წინააღმდეგი კი არ ვარ, მაგრამ ქორწინება, სულ ცოტა, რთული საქმეა.

ალანი: კატასტროფული.

ლინდა: ვიცი. მე და დიკი, ციტატა, „სულ ჩვენი ქორწინების გადაფასებაში ვართ“.

ალანი: მართლა?

ლინდა: კი, ბატონო. განსაკუთრებით შარშან. შენ ხომ მაინც იცი, როგორ გადაეშვა თავით სამსახურის საქმეებში, მე კიდევ სულ სხვა ინტერესები გამიჩნდა. ისედაც,

ყოველთვის სხვა რამეები მაინტერესებდა. არის რაღაცეები, რაც ორივეს გვჭირდება და ერთმანეთისთვის არ გვემეტება.

ალანი: შეიძლება მეორე ნახევარი გყავდეს და მაინც ძალიან მარტოსულად იგრძნო თავი. მაგრამ ისე მარტო არა, მე რომ ვარ გაშორების მერე.

ლინდა: აბა, დღეს არავის არ ხვდები?

ალანი: ეჰ... ვხვდებოდი, მაგრამ გადამაგდო... რაღაცა პოლონური დღესასწაული ყოფილა.

ლინდა: მაშინ არ გინდა, სადმე ვისადილოთ? მერე იქნებ კინოშიც წავიდეთ.

ალანი: უკეთესს გეტყვი - აქ ხომ არ გვესადილა? და მერე ვნახოთ, ღამის შოუში რა გადის.

ლინდა: რამე გაქვს, საჭმელი რომ მოვამზადო?

ალანი: ცოტა გაყინული სტეიკი და ერთი ბოთლი შამპანური.

ლინდა: შამპანური რად გინდა? გემის ჩაშვებას აპირებ?

ალანი: წინა კვირას სადილის მომზადება მინდოდა - ქალზე შთაბეჭდილების მოსახდენად. ჰერმეტულ ქვაბში ბიფსტროგანოვის გაკეთება ვცადე.

ლინდა: როგორი გამოვიდა?

ალანი: არ ვიცი. ისევ კედელზეა მიტყეპებული.

ლინდა: ქვემოთ ბოსტნეულის მაღაზია ღია იქნება?

ალანი: კი.

ლინდა: *(დგება და ხელჩანთას იღებს ჟურნალების მაგიდიდან)* ახლავე მოვალ. ცოტა სატაცურს, სალათას და დესერტს მოვიტან. მიყვარს საჭმლის მომზადება და ვერასოდეს ვერ ვახერხებ - დიკი სულ უსაშველოდ დაკავებულია.

ალანი: სანთლებიც წამოაყოლე. მიყვარს სანთლის შუქზე ჭამა.

ლინდა: მე საჭმელს მოვამზადებ და შენ შამპანური გახსენი. ოღონდ ისე არა, რომ მარტოს მომიწიოს დალევა.

ალანი. ერთ-ორ ჭიქას მეც დავლევ შენთან ერთად, მაგრამ დამპირდი, რომ შიშველმა თუ დავაპირე ცეკვა, დასაძინებლად დამაწვენ. *(ლინდა გადის)* ვახ, მაგარი იქნება! ლინდას გადასარევად ვეწყობი. არ მიყვარს, მოწყენილს რომ ვხედავ. მყუდროდ ვიქნებით *(დივნიდან ბალიშებს იღებს და ბუხართან აწყობს)* საღამოს სახლში ჩაჯდომა... გარეთ ზაფხულის მშვენიერი წვიმა... *(დარაბებს კეტავს)* ცოტათი ნოტიო ამინდია, ზუსტად პატარა ცეცხლის დასანთები. აქ განათება დავამატოთ *(ბარის ნათურებს ანთებს)* ატმოსფერო შევქმნათ *(ჟურნალების მაგიდიდან ტელეფონების წიგნაკს იღებს და საწერი მაგიდის თაროზე დებს. სამზარეულოსკენ მიდის)* შამპანური მოვიტანოთ. ქალები შამპანურზე აფრენენ... გიჟდებიან. *(სამზარეულოს კარს შორდება)* ერთი წუთით... რას ჯანდაბას ვაკეთებ! ქალები კი გიჟდებიან

შამპანურზე, მაგრამ აქ ლინდაზეა ლაპარაკი, დიკის ცოლზე. ხომ არ დაგავიწყდა? ღმერთო, რაღაც მომენტში მეტისმეტი მომივიდა. რაზე ვფიქრობდი საერთოდ?

ლინდა: *(ზედა მარცხენა შემოსასვლელიდან შემოდის. ხმადაბალი მუსიკა ისმის. ალანი და ლინდა დივანზე სხდებიან)* მშვენიერი სადილი იყო, ალან. სტეიკი ძალიან მაგარი გამოვიდა, შამპანური - საოცრება. ძალიან მიხარია, სახლში დარჩენა და საღამოს მშვიდად, ერთად გატარება რომ გადავწყვიტეთ. ერთადერთი კაცი ხარ ჩემს ნაცნობებში, ვინც გულწრფელად მაინტერესებს.

ალანი: უნდა იამაყო. ბევრი ქალი ვერ დაიტრაბახებს ისეთი სიღრმით, რომ ჩემ არსებას ჩაწვდომოდა.

ლინდა: *(კოცნის)* ბოდიში, სკოლის მოსწავლესავით რომ ვიქცევი - თავი ვერ შევიკავე. იმდენი ხანია მინდოდა ეს მექნა.

ალანი: ეგ არ უნდა ვქნათ. აკრძალულია.

ლინდა: მაგრამ ხომ ხდება ასეთი რაღაცეები? დაუგეგმავად.

ალანი: ხო, მაგრამ შენ თავისუფალი არ ხარ.

ლინდა: ჩემი გული თავისუფალია. ამ ყველაფერს გულში ვეღარ ჩავიკლავ. თავიდან ვიფიქრე, ერთი უბრალო, უმწეო, გზააბნეული ბავშვია-მეთქი, მაგრამ მაშინ საერთოდ არ გიცნობდი. ახლა ვიცი, რომ შენ ხარ იმ ყველაფრის განსახიერება, რის სიყვარულზეც ოდესმე მიოცნებია.

ალანი: ჩემო საბრალო. ალბათ როგორ იტანჯე, ასე რომ გინდოდი.

ლინდა: მჭირდები, ჩემო სიყვარულო. შენი სული და სხეული მე უნდა მეკუთვნოდეს.

ალანი: რომლით დაიწყებ?

ლინდა: *(დგება და ბუხართან მიდის)* ჩვენ ერთმანეთისთვის ვართ გაჩენილები. ეს შანსი თუ გავუშვით, სიცოცხლის ბოლომდე ვინანებთ.

ალანი: გონება მეუბნება, რომ სიგიჟეა, მაგრამ გული პასუხობს, გონებას არ დაუჯერო, იტყუებაო *(ლინდა ზედა, მარცხენა გასასვლელში უჩინარდება)* რა საშინელებაა. ვზივარ და საუკეთესო მეგობრის ბალიშს ვეხუტები.

ბოგარტი: *(ზედა მარჯვენა შემოსასვლელიდან შემოდის)* ესე იგი, ბოლოს მაინც შეგიყვარდა.

ალანი: ერთი წუთით ოცნებაში გადავვარდი.

ბოგარტი: გეყოფა, შვილო, თავს ნუ იდანაშაულებ.

ალანი: ვიდანაშაულებ რისთვის? ორი ადამიანი, ვისაც უამრავი რამე აქვს საერთო, ერთად სადილობს. პლატონური მეგობრები ვართ.

ბოგარტი: არაფერი პლატონური არ არის იმაში, რასაც ის შენდამი გრძნობს.

ალანი: რა იცი?

ბოგარტი: რა გინდა რომ ქნას? თავს დაგესხას?

ალანი: ჩემი მეგობრის ცოლია.

ნენსი: *(ზედა მარცხენა შემოსასვლელიდან შემოდის)* რა თქმა უნდა. დიკს ეტყვის და ის ძვალ-რბილს გაგიერთიანებს.

ბოგარტი: მომისმინე, შენ უყვარხარ, დიკი კი არა.

ნენსი: ტყუილად, ეს რომანტიკული ტიპი არ არის.

ბოგარტი: იქნებოდა, რომ ეცადა.

ნენსი: ამას ნუ უსმენ.

ბოგარტი: ამას ნუ უსმენ.

ალანი: გასკდა თავი.

(ნენსი და ბოგარტი გადიან)

დიკი: *(ქვედა, მარჯვენა მხრიდან შემოდის)* ალან, რაღაცა უნდა გთხოვო.

ალანი: აბა?

დიკი: სხვა ქალი შემიყვარდა. არ მკითხო, როგორ მოხდა - უბრალოდ მოხდა. ერთად გადავდივართ ალასკაზე საცხოვრებლად. ხო, ესკიმოსია. ვიცი, რომ შენ და ლინდა ყოველთვის კარგად იყავით ერთმანეთთან და ვიფიქრე, იქნებ ჩემი წასვლის მერე ყურადღება მიაქციოს-მეთქი. გულიდან ლოდი მომეხსნებოდა.

ალანი: რა თქმა უნდა.

დიკი: კაი, წავედი ალასკაზე. თუ დაგჭირდი, ამ ნომერზე ვიქნები - ყინვიანი ტუნდრა, 7-0659 *(ქვედა მარჯვენა გასასვლელში უჩინარდება)*

ალანი: ლინდა ყოველთვის კომპლიმენტებს მეუბნება. ვიცი, რომ მოვწონვარ. მაგრამ იქნებ ისე არ მოვწონვარ? ჯანდაბა! ხომ არ გამოვცადო? იქნებ გავეარშიყო... რა დაშავდება?

(მკრთალი შუქი. ლინდა ზედა მარცხენა შემოსასვლელიდან შემოდის და დივანს უახლოვდება. ისმის ხმადაბალი მუსიკა)

ლინდა: სადილი მშვენიერი იყო, ალან. სტეიკი ძალიან მაგარი გამოვიდა, შამპანური - საოცრება. *(დივანზე ჯდება)*

ალანი: *(ოთახს გადაჭრის და ისიც დივანზე ჯდება)* ლინდა, დღეს მიწა იძრა.

ლინდა: რაო?

ალანი: ლინდა, ძვირფასო...

ლინდა: არ გინდა...

ალანი: ბედმა ასე გადაწყვიტა...

ლინდა: ალან, ხელი გაწიე, ხომ არ გაგიჟდი.

ალანი: ლინდა, ჩემო სიყვარულო...

ლინდა: ალან, მე გათხოვილი ქალი ვარ. მაუპატიურებენ!

ალანი: ჩუუუ... მთელ სახლს გააღვიძებ!

ლინდა: დიკზე იფიქრე - შენ საუკეთესო მეგობარზე. *(დგებიან)*

ალანი: სახელო მომყვა შენს შესაკრავში!

ლინდა: კიდევ კარგი, დიკმა ეს ცრემლსადენი გაზის კალამი მომცა!

(ხელით გაზის კალმის გაშვების მოძრაობებს აკეთებს. ისმის გაზის ხმამაღალი შხუილი. ლინდა ზედა მარცხენა გასასვლელიდან გადის. ალანი სახეზე ხელებს იფარებს და ხველით იხრჩობა. განათება იმატებს)

ალანი: *(ბოლთას სცემს ოთახის ერთი ბოლოდან მეორემდე)* მომისმინე, მოდი თავი აკონტროლე. მაინცდამაინც სიმპათიური ტიპი არ ვარ. იმაზე ფიქრი, რომ ლინდასნაირი გოგო მე ამირჩევდა... თავს ვიტყუებ. სად დაიკარგა? ამდენ ხანში უკვე სტეიკსაც შეჭამდა და სახლში წასვლასაც მოასწრებდა. *(კარზე ზარი რეკავს, ალანი აღებს. ამჯერად ლინდა ნამდვილად შემოდის, ხელში პროდუქტების ჩანთა უჭირავს)*

ლინდა: თავს ისე მსუბუქად ვგრძნობ. ის ლიბრიუმი მოქმედებს უკვე.

ალანი: *(ჩანთას ართმევს)* იქნებ ჯობდეს, შამპანური აღარ დალიო.

ლინდა: *(ჩანთიდან სანთლებს იღებს)* ო, არა. ერთხელ ვცხოვრობთ - თუ ძალიან წავედი ხელიდან, პოლიციას გამოიძახებ და ეგაა.

ალანი: *(ჩანთით სამზარეულოში შედის)* რა თქვი, დიკი რამდენი ხნით წავიდაო?

ლინდა: ხვალ ჩამოდის.

ალანი: *(სამზარეულოდან გამოდის)* გოდარის ახალი ფილმი გადის სატონში... ვიფიქრე, ხომ არ წავსულიყავით-მეთქი -

ლინდა: *(ბარის თავზე, თაროდან შანდალს იღებს)* კაი რა, ხუმრობ?... აქ კარგად მოვეწყვეთ... გარდა ამისა, წვიმას იწყებს. ხო, და კიდევ გამახსენდა, რომ მეოთხე არხზე იდა ლუპინოს ის ძალიან მაგარი ფილმი გადის... ხომ იცი, გათხოვილი როა და უცებ თავისი ქმრის საუკეთესო მეგობართან აბამს ურთიერთობას.

ალანი: როგორ მთავრდება?

ლინდა: *(დივანზე ჯდება და შანდალში სანთლებს ამაგრებს)* ორივეს კლავს და მერე თავს იკლავს.

ალანი: *(დივანთან მიდის)* მოდი, გავიდეთ რა.

ლინდა: *(სანთლებს ბუხრის თავზე აწყობს. ბრას ანთებს და მერე ბუხართან დაწყობილ ბალიშებს იღებს)* იდა ლუპინოს ფილმის ნახვა მინდა. ძალიან საინტერესო თემაა. როგორ ფიქრობ, შეიძლება ორი ადამიანი ერთდროულად გიყვარდეს?

ალანი: რას გულისხმობ?

ლინდა: *(დივანზე მჯდომ ალანთან მიდის და ერთ ბალიშს დივანზე დებს)*

ბედნიერად გათხოვილი ქალი უცებ ხვდება, რომ სხვა კაცი უყვარს... არა, ქმარიც

უყვარს... უბრალოდ სხვაც შეუყვარდა... როგორ გგონია, შესაძლებელია?

ალანი: შენ როგორ გგონია?

ლინდა: სრულიად. სრულიად შესაძლებელია და ალბათ ხშირადაც ხდება.

სიყვარული ისეთი უცნაური მოვლენაა... უცნაური და განსაკუთრებული...

ბოგარტი: *(მარცხენა ცენტრალური შემოსასვლელიდან შემოდის).* მიდი, იმოქმედე.

ალანი: უუჰ -

ბოგარტი: *(სოფაზე მჯდარ ალანთან მიდის)* მიდი. ხელი მოკიდე და აკოცე.

ალანი: უჰ - *(ამ რჩევის შესასრულებლად მეტისმეტად პარალიზებულია)* უჰ -

ლინდა: რა გჭირს?

ბოგარტი: მიდი. თვითონაც უნდა.

ალანი: მჭირს? არა - მე -

ლინდა: ჯობია, მზარეულობას შევუდგე.

ბოგარტი: გაბედე. აკოცე.

ლინდა: ბატონო?

ბოგარტი: მალე! სანამ გავა.

ალანი: მე - არ შემიძლია.

ბოგარტი: აკოცე, შვილო!

ალანი: არ- არ შემიძლია.

ლინდა: ახლავე მოვალ. *(ბრუნდება და სამზარეულოში გადის)*

ბოგარტი: *(მბრუნავ სკამზე ჯდება)* მოკლედ, შვილო! ხელიდან გაუშვი.

ალანი: არ შემიძლია. ცუდად გაიგებს. სახლში დავპატიჟე და სექსუალური

მანიაკივით ვეცე! რას ემგვანება? მოძალადე ხომ არა ვარ?

ბოგარტი: ახლა ძალიან გაუტიე. მეტისმეტად ბევრს ფიქრობ. უბრალოდ იმოქმედე.

ალანი: ჩვენ პლატონური მეგობრები ვართ. ვერ გავაფუჭებ ყველაფერს ასე უცებ

მივარდნით. სილას გამაწნავს.

ბოგარტი: იცოცხლე, რამდენჯერაც ჩემთვის გაურტყამთ სილა.

ალანი: ხო, მაგრამ შენი სათვალე ოთახის მეორე ბოლოში არ დაფრინავს.

ბოგარტი: *(დგება, დივანთან მიდის)* იმედს გაუცრუებ და ეგაა.

ლინდა: *(შამპანურის ორი ჭიქით შემოდის)* მოვედი. ამით დავიწყოთ. *(ჭიქას აძლევს

და დივნის მარცხენა კუთხეში, დაბალ მაგიდასთან მიდის)* უი, გაზეთები ნახე?

ქვინსში კიდევ ერთი ქალი გააუპატიურეს.

ალანი: *(კინაღამ სცდება შამპანურის პირველი ყლუპი)* მართლა? ქვინსთან ახლოსაც

არ ვყოფილვარ! იციან, ვინ ქნა?

ლინდა: *(დივნის მარცხება ბოლოში ჯდება)* არა, აზრზე არ არიან. ვიღაცა ძალიან ჭკვიანია ეტყობა.

ალანი: *(დივნის მარჯვენა ბოლოში ჯდება)* მაგასაც ნიჭი უნდა, ამდენი ქალი რომ გააუპატიურო და შეგრჩეს. აჰჰაა... *(ცდილობს მხიარული გამოჩნდეს. ბოგარტს უყურებს. ბოგარტს არ ელიმება)*

ლინდა: ვინმეს ჩემი გაუპატიურება რომ ეცადა, ალბათ თავს მოვაჩვენებდი, რომ თანახმა ვარ და მერე, შუა საქმეში რამე მძიმეს ავიღებდი და ჩავარტყამდი. *(ბოგარტი და ალანი შეშფოთებულები ჩანან)* თუ არ თქმა უნდა, მეც არ მენდომებოდა. *(ორივე კაცს სახე უნათდება)*

ალანი: ამბობენ, გულში ყველა ქალი ნატრობს მაგასო.

ლინდა: არ ვიცი, ალბათ გააჩნია, ვინ გაუპატიურებს.

ალანი: კარგი, აღარ გვინდა ასეთ საძაგლობებზე ლაპარაკი. დიდი შანსია, რომ არასოდეს არავინ გაგაუპატიუროს.

ლინდა: ეჰ, ჩემი ბედი რომ ვიცი *(ბედნიერად ხუჭავს თვალებს)* უფ, თავს ისე მსუბუქად ვგრძნობ. სასმელმა პირდაპირ თავში დამარტყა. ვირწევი.

ალანი: აჰა.

ბოგარტი: მიდი, აკოცე.

ალანი: ვერა.

ბოგარტი: მზადაა.

ალანი: საიდან იცი?

ბოგარტი: დამიჯერე, ვიცი.

ალანი: მომიშორებს. ვგრძნობ.

ბოგარტი: ზის და გელოდება. აღარ ჩაისვარო.

ალანი: კარგი. ვცდი... მაგრამ ნელ-ნელა... *(ძალიან ფრთხილად, სანტიმეტრობით იკავებს პოზიციას. შიშით გული უსკდება)* თუ წამოხტება, თავს მოვაჩვენებ, ვითომ ხუმრობა იყო.

ბოგარტი: მალე ქენი.

ალანი: ჯობია დამცინოს. *(ის არის, შეტევაზე უნდა გადავიდეს, რომ გრგვინვასავით მკვეთრი ტელეფონის ზარი გაისმის და გულგახეთქილი ალანი წამოხტება)* ღმერთო, ღმერთო ჩემო! ამას არ ველოდი! (მიდის და ტელეფონს იღებს) გული გამისკდა... *(ტელეფონში)* გისმენთ? შენ ხარ, დიკ? გაუმარჯოს... რა? კი... აქ არის. ძალიან მოულოდნელად შემომიარა. პოლონელ ქალს ვხვდებოდი. - ორი კარგი მეგობარი - უცებ შევჭამთ რამეს და მერე გაიქცევა. - ჰა? კი, კარგად ვარ. მშვენივრად. მისმინე, შენ კლივლენდში არ იყავი? აჰა, ესე იგი, ეს ზარი თირკმლის ფასი გიჯდება... დაგალაპარაკებ... *(ლინდას ყურმილს უწვდის)* შენთან ლაპარაკი უნდა. კლივლენდიდან რეკავს. *(ბოგარტი დივანს უკნიდან უვლის)*

ლინდა: *(ალანს, ტელეფონისკენ მიმავალი)* რამე ხომ არ გეწყინა?

ალანი: უი, არა... უბრალოდ, მოულოდნელობისგან შევხტი... *(ლინდა ძელსკამზე ჯდება და ტელეფონზე ლაპარაკობს. ალანი დივანთან მიდის)* რა იდიოტიზმია. ასე საერთაშორისო ინციდენტს გამოვიწვევ. უნდა წავიდეს. ამას ვეღარ გავუძლებ.

ლინდა: რას შვრები, ძვირფასო?

ალანი: რას შვრები, ძვირფასო? უყვარს. თავს რატომ ვიტყუებ?

ბოგარტი: *(ალანთან მიდის)* დაწყნარდი რა. ლიზბეტ სკოტი რომ ნერვიულობდა, სანამ ტვინს გავასხმევინებდი, ისე ხარ. შენ მარტო პირველი ნაბიჯი უნდა გადადგა და საქმე ქუდში იქნება.

ალანი: სიგიჟეა. გაზეთების პირველ გვერდზე ამოვყოფთ თავს.

ლინდა: კარგი. კარგად. კი, კი. *(ტელეფონს კიდებს)* დიკი რაღაც უხასიათოდ ჩანდა. მგონი კლივლენდში რაღაცა პრობლემები აქვს.

ალანი: როგორ მოხდა, რომ თან არ დაყავხარ მივლინებებში?

ლინდა: *(დივანთან მიდის და მარჯვენა ბოლოში ჯდება)* ფრენის მეშინია. ჩემი ფსიქოთერაპევტი მეუბნება, შიშს იმიზეზებო. რამე რომ იყოს, არც დიკი მთავაზობს გაყოლას. რა იცი? იქნებ გვერდზე რაღაცეებს მაიმუნობს? *(ამ ბოლო წინადადებას ხუმრობით ამბობს)*

ალანი: *(ლინდასგან მარცხნივ, დივანზე ჯდება)* შენ ეგ გეწყინებოდა?

ლინდა: რა თქმა უნდა. მაგრამ თუ არ იცი, არც გეწყინება.

ალანი: მე ის ვიცი, რომ თვითონ ძალიან ეტკინებოდა გული, შენ რომ სხვასთან

რიგითი რომანი გქონოდა.

ლინდა: არამგონია, ოდესმე რიგითი რომანი მქონდეს ვინმესთან.

ალანი: არა?

ლინდა: ასეთ რაღაცეებს იოლად ვერ ვუყურებ. სხვა კაცი თუ მომეწონა, რაღაცა

უბრალო გატაცებაზე მეტი უნდა იყოს. რამე უფრო სერიოზულს უნდა ვგრძნობდე

და ამ შემთხვევაში ჩემი ქორწინებას წყალი შეუდგებოდა. კანკალებ?

ალანი: შემამცივნა.

ლინდა: ძალიანაც არ ცივა. მაგრამ მე ეგ ტიპი არ ვარ. არამგონია, ასეთ ბობოქარ

გრძნობებს გავუძლო. ეგეც არ იყოს, არც სამაგისო გარეგნობა მაქვს.

ალანი: რა თქმა უნდა, გაქვს. უჩვეულოდ ლამაზი ხარ!

ლინდა: კლუბში რომ მივდივარ და იმ ახალგაზრდა, ლამაზ გოგოებს ვხედავ, ასე

მგონია, თითქოს ცხოვრებამ გვერდი ამიარა. ბაზარში შოკოლადებს უნდა ვყიდდე.

ალანი: ხომ არ გაგიჟდი?! ეგ გოგოები შენთან ახლოსაც ვერ მოვლენ.

ლინდა: გააგრძელე. ჩემი გადამრჩენელი ხარ. საშინელი არასრულფასოვნების

კომპლექსი მაქვს.

ბოგარტი: ამას დამიხედეთ, გადასარევად ართმევ თავს. ახლა აკოცე.

ალანი: გთხოვ რა -

ბოგარტი: ისე ლამაზად დაალაგე ყველაფერი.

ალანი: უბრალოდ ვერ გავბედავ.

ბოგარტი: კიდევ უთხარი, ლამაზი ხარ-თქო.

ალანი: ახლა არ ვუთხარი?!

ბოგარტი: გაუმეორე!

ალანი: იცი, ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი გოგო ხარ, ვისაც ვიცნობ.

ლინდა: არ ვიცი, რა გითხრა.

ალანი: ანუ, ძალიან ლამაზი - წარმოუდგენლად ლამაზი - სიგიჟემდე ლამაზი -

ბოგარტი: გეყოს.

ლინდა: რამდენი ხანია არავის უთქვამს ეგ ჩემთვის.

ბოგარტი: ახლა ახლოს მიიწიე.

ალანი: რამდენად ახლოს?

ბოგარტი: ტუჩების მისაწვდენ მანძილზე.

ალანი: ეგ ძალიან ახლოა.

ბოგარტი: მიდი. მიიწიე. *(ალანი ემორჩილება)*

ალანი: ახლა რა ვქნა?

ბოგარტი: უთხარი, ჩემ გულში ისეთ სიმებს შეეხე, ვეღარ ვაკონტროლებ-თქო.

ალანი: მეხუმრები.

ბოგარტი: მიდი.

ალანი: ჩემგან ბანალურობად მოეჩვენება.

ბოგარტი: ძალიან მოეწონება.

ალანი: შეიძლება ფრედ ასტერი ფრაკში კარგად გამოიყურება, მაგრამ მე სასაცილო ვიქნებოდი.

ბოგარტი: ფრედ ასტერს თავი დაანებე და რამე უთხარი.

ალანი: ძალიან მიყვარს შენთან ყოფნა.

ლინდა: მეც.

ალანი: აბა, როგორი იყო? - არ მინდა ის შენი მეორე რეპლიკა გამოვიყენო გულის სიმებზე.

ბოგარტი: მშვენივრად გამოგდის, შვილო. უთხარი, რომ განუმეორებელი თვალები აქვს, ასეთი არასოდეს გინახავს.

ალანი: თვალები შენი - შენი თვალები - შენ- შენ ყველაზე თვალები ვიდრე...

ლინდა: ხელი გიკანკალებს.

ალანი: მართლა?

ბოგარტი: ჩემს გვერდით რომ ხარ, იმიტომ.

ალანი: უკაცრავად?

ბოგარტი: მაგას უთხარი ეგ!

ალანი: ჩემს გვერდით რომ ხარ, იმიტომ.

ლინდა: ყოველთვის იცი, რა თქვა, არა?

ბოგარტი: უთხარი, ბევრი ქალი შემხვედრია, მაგრამ შენისთანა გამორჩეული არავინ-

თქო.

ალანი: მაგას არ დაიჯერებს.

ბოგარტი: არა?

ალანი: ბევრი ქალი შემხვედრია, მაგრამ შენისთანა გამორჩეული - არავინ.

ლინდა: მართლა?

ალანი: გაჭრა.

ბოგარტი: ახლა მარჯვენა ხელი მხარზე გადახვიე და შენსკენ მიიზიდე.

ალანი: არ მინდა. მეშინია.

ბოგარტი: მიდი *(ალანი ემორჩილება)* ახლა მთავარი სვლისთვის მოემზადე და

ზუსტად ისე ქენი, როგორც გეტყვი.

(ზედა, მარჯვენა მხრიდან ნენსი შემოდის თოფით ხელში)

ნენსი: მე შენ გაგაფრთხილე, ჩემ ყოფილ ქმარს შეეშვი-მეთქი?!

(ბოგარტს ესვრის და იმავე მხარეს გადის. ბოგარტი საპირისპირო მხარეს უჩინარდება)

ლინდა: კაი, ჯობია სტეიკს მივხედო.

ალანი: ლინდა, შენი თვალები დიდი და წვნიანი სტეიკებია *(გამბედაობას იკრებს და კოცნას ცდილობს. ლინდა უკან გადაიწევა და დივანთან, მაგიდაზე მდგარ ლამპას აყირავებს)*

ლინდა: ალან, არ გინდა! ლამპისთვის გადავიხდი.

ალანი: მაგას არაუშავს! მგონი მიყვარხარ!

ლინდა: გთხოვ, ლამპის ფულს გადაგიხდი!

ალანი: *(ისევ ეჭიდავება)* დაივიწყე ლამპა!

ლინდა: ღმერთო, რა ტლანქი ვარ - ათი დოლარი ეყოფა?!

ალანი: *(ისევ ლინდასკენ იწევს)* დაივიწყე ეგ წყეული ლამპა! ხუთი დოლარი მომეცი და გავსწორდებით!

ლინდა: *(თავს აღწევს, დგება და ძელსკამიდან ხელჩანთას იღებს)* ალან - არ გინდა -

ალანი: ცუდად ნუ გაიგებ - ხუმრობა იყო - გცდიდი - არ იფიქრო - პლატონური კოცნა მინდოდა - ნამდვილი არა

ლინდა: ჯობია, წავიდე.

ალანი: *(მისდევს)* ლინდა...

ლინდა: მართლა ჯობია, წავიდე.

ალანი: ლინდა.

ლინდა: გთხოვ. კარგად ვიქნები. *(უხერხული ნაბიჯით გადის)*

ალანი: *(მარტო დარჩენილი, ჭკუიდან გადადის)* თავს დავესხი! ეს რა ვქენი? ჯუნგლებიდან გამოვარდნილი უგულო მხეცი ვარ! დიკს ეტყვის! უკვე პანიკაში იყო! სახლამდე სანამ მიაღწევს, ისტერიკა დაეწყება! ალბათ პირდაპირ პოლიციის განყოფილებაში წავა! რა დონის იდიოტი ვარ, ასეთი სისულელე რამ მაქნევინა! რომელი ბოგარტი მე ვარ. არც არასოდეს ვიქნები. დიკს რა ვუთხრა? ჩემი სქესის სირცხვილი ვარ! შეიხის სასახლეში უნდა ვმუშაობდე საჭურისად *(კარზე ზარია)* აი, მორალის პოლიციაც დამადგა. *(ბრუნდება და კარს აღებს. ლინდა შემოდის)*

ლინდა: რა თქვი? მიყვარხარო? *(ერთმანეთს კოცნიან)*

ალანი: კიდევ დაუკარი, სემ! *(მუსიკის ხმა)*

ფარდა

მესამე მოქმედება

ფარდა იწევა. ალანი და ლინდა მეორე დილას, „იმის“ მერე. ორივესთვის დამაბნეველი გამოცდილება იყო - ერთდროულად მშვენიერიც და ტრავმულიც. დივანზე სხედან, ყავის ჭიქებით ხელში.

ალანი: ორ მარტოსულ ადამიანს, რომლებსაც უამრავი რამე აქვთ საერთო, ბედი სულ ერთმანეთს ახვედრებს - უკან მოხედვას ვერ ვასწრებთ, რომ შეყვარებულები ვართ... სანამ შეგვიძლია, ვებრძვით ამ გრძნობას, ვიდრე ზაფხულის ერთ წვიმიან საღამოს მარტო არ დავრჩებით. დიკი ათასობით კილომეტრის იქითაა. გრძნობებს ვეღარ ვთოკავთ, მკლავებში გიქცევ და სიყვარულს ვეძლევით. მერე ორივეს კუჭი გვეშლება. მთავარია, რომ გულწრფელები ვართ.

ლინდა: ახლაც არ მჯერა.

ალანი: წლებია ასე კარგად არ მიძინია. უკვე შუადღეა?

ლინდა: შვიდია.

ალანი: შვიდი? არ მეგონა ასე ადრე თუ იყო. გუშინ ფანტასტიური იყავი.

ლინდა: მადლობა.

ალანი: ახლა როგორ ხარ?

ლინდა: მემგონი პეპტო-ბისმოლმა მიშველა. რაზე ფიქრობდი იმის დროს?

ალანი: ვილი მეისზე.

ლინდა: სექსის დროს სულ ბეისბოლის მოთამაშეებზე ფიქრობ ხოლმე?

ალანი: მოდუნების საშუალებას არ მაძლევს.

ლინდა: მე კიდევ ვერ მივხვდი, რატომ ღრიალებდი, არისო.

ალანი: ალბათ ყველას აჯობებს, დიკს უთხრა.

ლინდა: დიკს?

ალანი: ალბათ ძალიან გაუკვირდება, მაგრამ...

ლინდა: ოოო... გაუკვირდება რომელია...

ალანი: ისეთ დღეს დაამთხვიე, საფონდო ბირჟა მაღალ ნიშნულზე რომ დაიხურება.

ლინდა: ვახ... რა ხათაბალაა.

ალანი: მომისმინე. რაც მოხდა, მოხდა - არაფერი ეშველება. უკვე მოხდა. არც ჩემი

ბრალია, არც შენი. მთავარი ის არის, რომ შენ თავი ქალად იგრძენი, მე კიდევ -

კაცად, ქალები და კაცები კი ასე იქცევიან.

ლინდა: თავი მართლა ქალად ვიგრძენი. შესანიშნავი იყავი.

ალანი: საუზმე მშია რაღაცა სასწაულად.

ლინდა: მოვამზადებ. რა გშია?

ალანი: სტეიკი და კვერცხი, ნამცხვარი, კარაქი და თაფლი, ორცხობილები და მთელი ვედრო ყავა.

ლინდა: *(დგება)* კაი! მაშინ, ჯობია ქვემოთ ჩავიდე და რაღაცეები ამოვიტანო.

ალანი: არ გინდა... გავიდეთ და სადმე ვჭამოთ.

ლინდა: *(სკამიდან საფულეს იღებს)* არა... არა... წავალ. ცოტა სუფთა ჰაერი მჭირდება.

ალანი: ჩემი საწვიმარი გაიყოლე. ფულია ჯიბეში.

ლინდა: მოიცა, ჩემი ფსიქოთერაპევტი გამოვიდეს შვებულებიდან და ეს ამბავი გაიგოს. პოდიატრიაში გადაინაცვლებს. *(გადის)*

ალანი: მხეცი ხარ, რა! გუშინ საწოლში ფანტასტიკური იყავი... ტოსკანინი მიმიქარავს. ნენსი უნდა ყოფილიყო იქ - ოსტატი საქმეში უნდა ენახა.

ნენსი: *(განათება იკლებს)* ოჰ, ალან, მთელ ევროპაში ხმა გავარდა, შტატებს არავინ ყავს მაგაზე კარგი ლოგინშიო.

ალანი: შენც გექნებოდა ეგ სიკეთე, მაგრამ რად გინდა? ხელი ჰკარი.

ნენსი: შევცდი. ახლა მივხვდი. თავიდან რომ დავიწყოთ?

ალანი: ძალიან გვიანია. მე და ლინდა შეყვარებულები ვართ. ერთად გადავდივართ.

ნენსი: სულელი ვიყავი *(საორღანო მუსიკა)* მშვიდობით, ალან. მონაზვნად აღვიკვეცები. შენ თუ არ მეყოლები, შენზე უკეთესს მხოლოდ ღმერთს მივებარები *(ქვედა მარჯვენა გასასვლელში უჩინარდება)*

ალანი: მართალს ამბობს, ხო იცი. ღმერთო, არ მჯერა. ჭკვიან და ლამაზ ქალს ვუყვარვარ. რა თქმა უნდა, ვუყვარვარ. რატომ არ უნდა ვუყვარდე? გონება მიჭრის და უჟმური არა ვარ... მგრძნობიარე სახე მაქვს... გადასარევი სხეული. დიკი გაგვიგებს. ბოლოს და ბოლოს, ორივენი ცივილიზებული ტიპები ვართ. ჩვენი სოციალური ურთიერთობების წიაღში პატარა რომანტიკა გაჩნდა. ძალიან ბუნებრივი რამეა კულტურული ხალხისთვის.

დიკი: *(მარჯვენა ცენტრალური მხრიდან შემოდის მკრთალ სინათლეზე)* მიბარებდი?

ალანი: კი.

დიკი: კაი.

ალანი: დალევ?

დიკი: თავისთავად.

ალანი: სკოჩი?

დიკი: იყოს.

ალანი: საკმარისია?

დიკი: კი.

ალანი: სოდიანი?

დიკი: ცოტა.

ალანი: მე და ლინდას ერთმანეთი გვიყვარს.

დიკი: ძალიან კარგი. ექიმისგან მოვდივარ. ორი თვე მომცა.

ალანი: კარგია. ანუ წინააღმდეგი არ ხარ.

დიკი: სულაც არა.

ალანი: გაუმარჯოს.

დიკი: გაუმარჯოს *(იმავე გასასვლელში უჩინარდება)*

ალანი: *(დგება და ოთახის შუაგულისკენ მიდის)* რა თქმა უნდა... ყველაფერი კარგად იქნება. ბოლოს და ბოლოს, მე და დიკი ამაზე უარეს სიტუაციებში ვყოფილვართ. ბევრი რამე გამოვიარეთ ერთად. ჩემი საუკეთესო მეგობარია. რა საშინელებაა. ვიცი, რომ გაანადგურებს ეს ამბავი.

დიკი *(ქვედა ცენტრალური შემოსასვლელიდან შემოდის. მკრთალი განათება)* დიდი მადლობა.

ალანი: დიკ...

დიკი: *(დივანთან მიდის)* ეს რა მიქენით? ცოლმა და საუკეთესო მეგობარმა. ორივეს გენდობოდით. თავს ისე მოტყუებულად ვგრძნობ. ლინდა მიყვარდა. შენც მიყვარდი.

რატომ ვერ მივხვდი, რა მელოდა? მე, ვისაც შორსმჭვრეტელობა ეყო პოლაროიდი

რვანახევრად ეყიდა *(ზედა, მარცხენა გასასვლელში უჩინარდება)*

ალანი: საშინელებაა... რამე სისულელეს იზამს. დიკი ემოციური ტიპია. თავს

მოიკლავს. თავს მოიკლავს? ის თუ იფიქრე, შენ რას გიზამს? დაუწერელი კანონი

მაინც არ გაგიგია? კაცს ცოლს ართმევ... შეურაცხყოფას აყენებ. საკმარისად გვინახავს

იტალიური ფილმები. დიკს ფეთქებადი ხასიათი აქვს!

დიკი: *(შემოდის. პერანგის მაისური აცვია და შარფი უკეთია)* Bastado! Pezzo di

curnutu. Tu mai tradutto me!

ალანი: *(უკან იხევს)* Ma non a vero!

დიკი: Tu mi pigli per stupido!

ალანი: Non e curpa mia.

დიკი: *(ტიხარს ახტება)* Bugiardo! Proco! Carogna! Imbesile! *(ხანჯალს იძრობს)*

ალანი: No… no…

დიკი: Solo chisto me tuo sadisfari mio onore. *(ხანჯალს ჩასცემს)*

ალანი: უუხ, რა მტკივნეულია! *(დიკი ზედა მარჯვენა მხრიდან გადის. ალანი მოაჯირთან დგას)* წარმოუდგენელია! რა წყალს მივცე თავი? მიყვარს. ვუყვარვარ. გადასარევად ვიცხოვრებდით ერთად. რა უნდოდა დიკს, რომ გამოეჩხირა? კაი,

დამშვიდდი. ყველაფერს კინოდ ნუ აქცევ ხოლმე. დაბრუნდება. ერთად ვისაუზმებთ. გამოცოცხლდი. საცაა დაბრუნდება. დღეს ერთად გაატარებთ... *(კარზე ზარია. ალანი აღებს და დიკი ხვდება, პალტოში და ჩემოდნით ხელში)*

დიკი: *(პალტოს და ჩემოდანს ტიხართან ტოვებს)* გულმა ვერ გამიძლო და დავბრუნდი, ალან. უნდა დაგელაპარაკო. ალან, მგონი ლინდას ვიღაცა ყავს. ამ წამს დავრეკე სახლში. იქ არ იყო. ეს ბოლო რამდენიმე კვირაა გაფანტული და გაუცხოებული ჩანს, ისეთ დეტალებს მარტო ქმარი თუ შეამჩნევს. ამ ორი კვირის განმავლობაში შენ ხშირად ხედავდი... შეიცვალა. იმ ღამეს ძილში სასიყვარულო ურთიერთობაზე ლაპარაკობდა.

ალანი: სახელები ახსენა?

დიკი: მარტო შენი. რომ გავაღვიძე და ვკითხე, მითხრა, კოშმარი იყოო *(ოთახს ჭრის და პლატფორმისკენ მიდის)* ტვინს ვიჭყლიტავ, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო. ვინმე ისეთი იქნება, მე რომ არ ვიცნობ... ვიღაცა ტიპი, ვისაც სამსახურის საქმეზე შეხვდა. აგენტი, ფოტოგრაფი, სარეკლამოს შეფი ან მსახიობი.

ალანი: ასე რატომ განიცდი?... მე მეგონა ლინდა მარტო შენი კორპორაციული იმიჯისთვის იყო.

დიკი: მიყვარს. რომ მიმატოვოს, თავს მოვიკლავ.

ალანი: როდიდან გახდი ასეთი ემოციური?

დიკი: ლინდამდე არავინ მყვარებია. მოვკლავ იმ ტიპს, თუ გავიგე, ვინ არის. გეფიცები. ყურადღება მოვაკელი და, აი, ვიღაც ვირგლასთან დაიჭირა საქმე! *(ალანი პუფზე ჯდება, დიკი - დაბალი მაგიდის კიდეზე)* თუ უკვე ვინმემ არ წამართვა, ყველაფერს გამოვისყიდი. შევიცვლები. რაც შემიძლია, ყველაფერს ვიზამ, რომ ჩემთან ცხოვრება საინტერესო და ხალისიანი გავუხადო. იმიტომ რომ უმისოდ ცხოვრებას ფასი არ ექნება. გუშინ სასტუმროს ოთახში, კლივლენდში, ღამე თეთრად გავათენე. მშვენივრად მივხვდი, რომ ვკარგავდი... ძალიან ცუდი... გადავიტან-მეთქი, ვიფიქრე. მერე დავპანიკდი და დავურეკე. სახლში არ იყო. წინა საღამოს აქ რომ დავურეკე, მითხრა სახლში მივდივარო. სად იყო?

ალანი: *(დგება)* თავი ხელში აიყვანე.

დიკი: *(დგება, ოთახს ჭრის და მერე ალანთან ბრუნდება)* უნდა ვიპოვნო. უნდა შევაჩერო და, სანამ ძალიან გვიანი არაა, შევეხვეწები, მაპატიოს. მინდა, რომ ჩემთან ერთად ჩაჯდეს იმ თვითმფრინავში და ერთად გავფრინდეთ კლივლენდში. არ მინდა, გვერდიდან მომშორდეს. მინდა გავანებივრო, სულ მისი სიცილი და ლაპარაკი მინდა მესმოდეს... ალან, ბოდიში ასე რომ გავუტიე, მაგრამ შენ ერთადერთი მეგობარი ხარ ამ ქვეყანაზე, ვინც გამიგებს.

ალანი: მე... მესმის.

დიკი: მომისმინე, თუ დარეკა, უთხარი რომ სახლში ვიქნები. უთხარი, რომ მასთან დალაპარაკება მინდა. ეტყვი?

ალანი: კი.. კი.

დიკი: მადლობა... დიდი მადლობა. *(პალტოს და ჩემოდანს იღებს და გადის)*

ალანი: *(დაბალ მაგიდაზე ჩამოჯდება)* ახლა გული წამივა. როგორ მეთქვა? ტიპს სიგიჟემდე უყვარს. აქამდე არც ვიცოდი, ასე თუ უყვარდა. თვითონაც ვერ ხვდებოდა. ამას უცხოს ვერ ვუზამ, არათუ მეგობარს. მაგრამ ვაითუ ძალიან გვიანია? იქნებ ლინდა უკვე მომეჯაჭვა? ხომ იცი, ქალი ერთხელ რომ იქნება იმასთან, ვისაც ლოგინში ბადალი არ ყავს... გუშინ განუმეორებელი ვიყავი! ერთხელაც არ მომიწია გაჩერება და სახელმძღვანელოში ჩახედვა. ქალები სიყვარულს სულ სხვანაირად უყურებენ. რთული ფენომენია. არ ვიცი, რას უნდა ველოდო. აქამდე ქალს მე თვითონ არასდროს დავშორებივარ.

(მკრთალი სინათლე. ტრენჩის პალტოში გამოწყობილი ლინდა ქვედა მარჯვენა შემოსასვლელიდან შემოდის და მარჯვნივ მიდის, ტიხრის ბოლომდე)

ლინდა: შენ გგონია, ასე იოლად ჩაივლის ყველაფერი?

ალანი: *(ლინდასთან მიდის)* სხვა გზა არ გვაქვს.

ლინდა: ხომ თქვი, მიყვარხარო.

ალანი: ეცადე ეს ამბავი ღირსეულად მიიღო.

ლინდა: ერთად გატარებულ დროს, სიახლოვეს, დაპირებებს რა ვუყოთ?

ალანი: გთხოვ, ლინდა...

ლინდა: ჩემთვის ძალიან ძვირფასი ხარ. ვერ გაგიშვებ.

ალანი: ლინდა, საქმეს ნუ ართულებ... მაპატიე.

ლინდა: ბოდიში არ კმარა... შენი სათამაშო ხომ არ გგონივარ?

ალანი: რა გითხრა?

ლინდა: *(ბეტ დევისი თოფით ხელში)* წერილი მომეცი.

ალანი: რა წერილი?

ლინდა: ფილიპ, მომეცი წერილი.

(მთელი ამ ხნის განმავლობაში ლინდა ალანს ზურგსუკან უდგას)

ალანი: არავითარი წერილი არ მაქვს.

ლინდა: წერილი მჭირდება. ფილიპ, წერილი მომეცი.

ალანი: ლინდა, გაგიჟდი ხო?

ლინდა: არ გაბედო ასე მომექცე.

ალანი: ჩახმახს ხელი არ გამოკრა - ჰემოფილია მჭირს, სისხლისგან დავიცლები

(სინათლე იკლებს და ლინდა მარჯვენა ცენტრალურ გასასვლელში უჩინარდება)

მომკლავს. ქალები ძალადობისკენ არიან მიდრეკილები. ბეტ დევისი, ბარბარა

სტენვიკი... მკვლელები არიან... გავიქცევი - ცირკში ვიმუშავებ. კლოუნი გავხდები...

მაკიაჟს აღარ მოვიშორებ... ჯიმი სტიუარტმა როგორც ქნა.

(მკრთალი სინათლე სცენის მარჯვენა ცენტრალურ ნაწილში. შემოდის ბოგარტი)

ბოგარტი: თავი ხელში აიყვანე, შვილო. ისტერიკაში ნუ ვარდები.

ალანი: ცირკში ვიწყებ მუშაობას.

ბოგარტი: პირიქით, უნდა გამხნევდე. ყალბ მანჭვა-გრეხას თავი რომ დაანებე,

მშვენიერ, ლამაზ ქალბატონს შეუყვარდი. ხომ არასოდეს გეგონა, ქალებთან რამე თუ

გამოგივიდოდა? ჰოდა, შეგძლებია.

ალანი: ხო, მაგრამ ახლა უნდა დავამთავრო ეს ამბავი და არ შემიძლია.

ბოგარტი: ეგეთ ძნელიც არაა, შვილო. მიყურე *(ქვედა მარჯვენა მხრიდან ლინდა

შემოდის. მუსიკა ფონად)* აქ მოდი, ტკბილო.

ლინდა: *(პლატფორმაზე ადის, ბოგარტთან)* აბა, საყვარელო?

ბოგარტი: ყველაფერი დამთავრდა.

ლინდა: რა დამთავრდა?

ბოგარტი: ჩვენი ამბავი.

ლინდა: დამთავრდა?

ბოგარტი: ხო, ტკბილო. დამთავრდა. მორჩა.

ლინდა: ასე იოლად, არა?

ბოგარტი: კიბატონო.

ლინდა: ვთქვათ და, წინააღმდეგი ვარ?

ბოგარტი: ეგ ვერაფერს გიშველის.

ლინდა: *(პისტოლეტს იღებს და სახეში უმიზნებს)* ეს ხომ მიშველის?

ბოგარტი: *(პისტოლეტს ართმევს და ერთი მშვიდი მოძრაობით სილას აწნავს)* გეყოს, ტკბილო. ამ სათამაშოს მაინც ვერ გამოიყენებდი.

ლინდა: *(ქვითინებს)* ჯერ არც დაწყებულა და უკვე რატომ უნდა დასრულდეს? მითხარი, რატომ?

ბოგარტი: ძალიან გადაამლაშე და არ მომწონს ეგ. ჯონსონი შენ მოკალი. პარკერმა გაიგო ეგ ამბავი და ისიც მიაყოლე. ეგეც არ გეყო. ჩემი გასტუმრებაც გინდოდა. იცოდი, რომ პირისპირ ვერ მომკლავდი და იფიქრე, ვაიძულებ, ზურგი მომაქციოსო. ჩემთან ეგ არ გაგივა, ტკბილო. აბა, წავედით. მოგიწევს მიქარულის საკუთარ თავზე აღება. *(ლინდა ქვითინით გადის)* სულ ეს იყო.

ალანი: შენთვის ხო, იმიტომ რომ შენ ბოგარტი ხარ.

ბოგარტი: ყველას შეუძლია ეგ, ბავშვო. რაღაც მომენტებში. ახლა ისეთ რაღაცას აკეთებ, რომ მეგონა ვერ გაქაჩავდი - ხელიდან რეალურ შანსს უშვებ, რომ ტიპს გული არ მოუკლა. მე რომ მექნა ეგ, პარტერს ცრემლები წალეკავდა.

ალანი: ხო, მაგრამ ეს ამბავი მე მანადგურებს.

ბოგარტი: მითუმეტეს უნდა იამაყო.

ალანი: შენ ასე გგონია?

ბოგარტი: უეჭველი. ყური მიგდე, შვილო, ამ ცხოვრებაში ქალების გარდა კიდევ ბევრი რამეა და აქედან ერთი ისაა, რომ ძმაკაცთან პირნათელი იყო *(კარზე ზარია. ბოგარტი კართან მიდის. ლინდაა. ბოგარტი უკან იხევს, სცენის მარჯვენა ნაწილში)*

ალანი: მაღაზიები არ იყო ღია?

ლინდა: არა.

ბოგარტი: უთხარი.

ალანი: რა ვუთხრა?

ბოგარტი: უთხარი. არ გადადო. *(გადის)*

ალანი: ლინდა...

ლინდა: ალან, ხვდები, რა კარგი რამე დაგვემართა?

ალანი: ლინდა -

ლინდა: ალან, პირდაპირ ჩვენს ცხვირწინ მსოფლიოში ყველაზე მშვენიერი რაღაცა მოხდა. საოცარი რამე გამოვცადეთ. არ გიკვირს? თითი თითზე არ დაგიკარებია. არც გადაშლილი წიგნების დატოვება მოგიწია... არც მუსიკის ჩართვა განწყობის შესაქმნელად. ეგ კი არა, ტრუსებში გნახე, რომლებზეც კვირის დღეები ეწერა.

ალანი: მოიხედე, ლინდა, ჩვენ... ეს ამბავი უნდა დავამთავროთ.

ლინდა: კი, ვიცი. გასული რომ ვიყავი, უცებ გონება გამინათდა და ყველაფერი ცხადად დავინახე. საკუთარ თავს რომ ვკითხე, მართლა თუ მინდოდა ოჯახის დანგრევა... არა-მეთქი, ვთქვი. დიკი მიყვარს და, მიუხედავად იმისა, რომ შენისთანა შესანიშნავ ადამიანთან ყოფნა მაცდუნებელია... უიმისოდ ცხოვრება ვერ წარმომიდგენია.

ალანი: ვერა?

ლინდა: დიკს ვჭირდები, ალან... და ვერ აგიხსნი რატომ, მაგრამ... მეც მჭირდება.

ალანი: ვიცი, რომ ჭირდები.

ლინდა: ჩემს ცხოვრებაში პირველად გაჩნდა ვიღაცა დიკის გარდა - ცოტათი უკვე მიყვარხარ და ახლა თუ არ გავჩერდი, მეტისმეტად ღრმად ჩავეფლობი და უკან ვეღარ დავბრუნდები. ერთი წამითაც არ ვნანობ, რაც მოხდა, იმიტომ რომ ამან მხოლოდ დამარწმუნა დიკის მიმართ ჩემს გრძნობებში.

ალანი: შინ წადი, ლინდა... დიკი სახლში გელოდება.

ლინდა: მელოდება?

ალანი: ცოტა ხნით შემოიარა, სანამ შენ გასული იყავი. უნდა, რომ მასთან ერთად დაბრუნდე კლივლენდში. თვითონ აგიხსნის. ჩვენ კიდევ კარგ მეგობრებად დავრჩეთ... მე წინააღმდეგი არ ვიქნებოდი.

ლინდა: დარწმუნებული ხარ? იმიტომ რომ არ მეუბნები, რომ მანუგეშო?

ალანი: *(ფონად საფორტეპიანო მუსიკა ისმის)* იმიტომ გეუბნები, რომ მართალია. გულის სიღრმეში ორივემ ვიცოდით, რომ შენი ადგილი დიკის გვერდითაა. *(მუსიკა)* შენ მისი სამუშაოს ნაწილი ხარ, მისი მამოძრავებელი ძალა. ინანებ, თუ თვითმფრინავი მიწას ისე მოწყდა, რომ შენ მის გვერდით არ იყო. შეიძლება დღეს და ხვალ არა, მაგრამ მალე და მთელი ცხოვრების განმავლობაში ინანებ.

ლინდა: რა კარგად თქვი.

ალანი: „კასაბლანკადან“ არის. მთელი ცხოვრებაა მინდოდა ამის თქმა.

ლინდა: *(კოცნის)* მშვიდობით *(გადის)*

ნენსი: *(ზედა მარცხენა მხრიდან შემოდის)* საწყალი ალანი - ხომ გეუბნებოდი, ასე იქნება-მეთქი.

ალანი: *(დივნისკენ მიდის)* ხუმრობ? ხომ გაიგონე? შეყვარებული იყო ჩემზე.

ნენსი: მაგრამ დიკს დაუბრუნდა.

ალანი: ყოველ შემთხვევაში, დიკზე ნაკლები არ ვყოფილვარ... ისე რომ არც მიცდია - მთავარი ეგ არის.

ბოგარტი: *(ზედა მარჯვენა მხრიდან შემოდის)* უთხარი, შვილო - ახლა ბურთი და მოედანი შენია.

ალანი: ახლა იმას ვიზამ, რაც დიდი ხანია უნდა მექნა - დაგივიწყებ.

ნენსი: რااااა?! ალან, არა - არა-მეთქი - არა, არااااااა... *(გაბმული კივილით იხევს უკან, ზედა მარცხენა გასასვლელისკენ)*

ბოგარტი: ვახ, შვილო, რა დიდებული რამე იყო. მე ჩემდათავად სილას ვუთავაზებდი, მაგრამ შენ შენებური სტილი გაქვს.

ალანი: მგონი მართლა მაქვს რაღაცა ჩემებური სტილი.

ბოგარტი: აბა, შენ იცი, შვილო.

ალანი: მიდიხარ?

ბგარტი: მე აღარ გჭირდები. ისეთს ვეღარაფერს გასწავლი, რაც თვითონ არ იცი.

ალანი: ალბათ ხო. საიდუმლო შენში კი არა, ჩემშია. მართალია, ძალიანაც მაღალი არა ხარ და არც ვარსკვლავებს ეთამაშები, მაგრამ მე თვითონაც კაი დაბალი და მახინჯი ვარ, ჩემით რომ გავქაჩო.

ბოგარტი: შენ გაგიმარჯოს, შვილო *(გადის)*

(კარზე ზარი რეკავს. საფორტეპიანო მუსიკა ნელ-ნელა წყდება. ალანი კარს აღებს)

ბარბარა: ბოდიში, რომ გაწუხებთ. ბარბარა ტაილერი მქვია. ცოტა ხნის წინ გადმოვედი ზედა სართულზე. სულ მარტო ვარ და კარი შიგნიდან ჩამეკეტა. შეიძლება თქვენგან დავრეკო?

ალანი: რა თქმა უნდა. ტელეფონი იქაა.

ბარბარა: მადლობა *(საწერ მაგიდაზე ჟურნალ „კინოს“ ამჩნევს)* კინო?! შემთხვევით, ალან ფელიქსი ხომ არ ხართ, ჟურნალ „კინოსთვის“ რომ წერს?

ალანი: ზუსტად ის ვარ.

ბარბარა: ცოტა ხნის წინ დავამთავრე ჩემი სამაგისტრო კინემატოგრაფზე და თქვენი სტატიები გამოვიყენე წყაროდ. ძალიან ჭკვიანური ტექსტებია.

ალანი: *(ისევ გაისმის საფორტეპიანო მუსიკა)* გმადლობთ.

ბარბარა: განსაკუთრებით ის სტატია მომეწონა, „აფრიკელ დედოფალზე“ რომ წერთ.

ალანი: ეგ ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი ფილმია.

ბარბარა: ბოგარტიდან საკმაოდ მკვეთრი გადასვლა იყო.

ალანი: იცით რაშია საქმე, ხალხის უმეტესობამ არ იცის, რომ ბოგარტი...